


140
1970 2

# ოქტომბრის სიმფონია

...ლენინი მოდის!
პროლეტარიატს ექნება გეზი,
სად გამოვიდეს, ვისთან და როდის,—
იმ მატარებლით ქოხთა მშვიდობა
და სასახლეთა გოდება მოდის!

„თბილისის თავზე საბჭოების ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს“
(ტრიფტიქი)

მხატვარი
დინარა ნოდია



საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

პიონერი

4 · აპრილი · 1970

გამოცემის 44-ე წელი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინი მოდის!
მოდის სიკვდილი ბურჟუაზიულ
ციხე-ბორკილის და ეშაფოტის!
იმ მატარებლით მოდის ნამგალი,
იმ მატარებლით ჩაქუჩი მოდის!

ლენინი მოდის!
თავისუფლება და ზავი მოდის!
ამხანაგებო, ლენინი მოდის!
ლენინი მოდის!..

11301





ელექტრონული ბიბლიოთეკა



რაზლივში

მხატვარი
გურამ
გელოვანი

კლასის ტვინი,
კლასის საქმე,
ძალა კლასის,
მისი დიდება—
აი პარტია.
ჩვენი პარტია და ლენინი
ტყუპნი არიან.
ვის ამჯობინებს
ისტორია სამართლის მჩენი?
ჩვენ ვამბობთ—ლენინ,
და ვგულისხმობთ
მუდამ პარტიას.
ვამბობთ—
პარტია
და ვგულისხმობთ—
ლენინი ჩვენი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაციც ასეთი უნდა

## თანასწორთა შორის პირველი

ნადეჟდა კრუპსკაია

ლენინი მთელი თავისი არსებით რევოლუციონერი მარქსისტი და კოლექტივისტი გახლდათ. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ერთ დიად მიზანს ემორჩილებოდა — სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლას. ეს მიზანი განაგებდა მის გონებასა და გრძნობებს. სულით მდიდარი ადამიანი იყო, სპეტაკი. არ იცოდა რა იყო შური, ღვარძლი, პატივმოყვარეობა, რაც ასე ნიშანდობლივია წვრილ მესაკუთრე ინდივიდუალისტისათვის.

ლენინი იბრძოდა, საკითხებს მწვავედ აყენებდა, მაგრამ კამათის დროს მისი აზრი არასოდეს არ გამომდინარეობდა პირადი სურვილებიდან, საკითხს ისე უდგებოდა, როგორც საქმე მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ ამხანაგებს მისი მკვახე სიტყვა არა სწყინდათ. იგი დიდი გულმოდგინებით იხედებოდა თვითეული ადამიანის სულში, გულისყურით ეკიდებოდა მათს ნათქვამს, რათა ღრმად ჩასწვდომოდა და ამოეცნო საქმის არსი.

ამ თვისების გამო ლენინს ძალა შესწევდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო წვრილმანებს იქით ადამიანის ჭეშმარიტი სახე შეეცნო, ფაქიზად მისდგომოდა, გაეღვივებინა მასში, რაც კი რამ გააჩნდა სიკეთე და, საერთო საქმის სამსახურში ჩაეყენებინა. ბევრჯერ შემიმჩნევია, რომ ილიჩთან მოსული ადამიანი იქვე გადასხვაფერდებოდა ხოლმე, სიკეთით·ივსებოდა. ამიტომ უყვარდათ ამხანაგებს იმასთან სიარული. ამ ურთიერთობიდან თვითონაც იმდენ ახალ და საგულისხმო ამბებს აჰკრეფავდა ხოლმე, რომ სხვას გაუჭირდებოდა.

ცხოვრების სიბრძნის ხალხში სწავლა ყველას როდი ძალუძს. ილიჩს კი ძალიან ემარჯვებოდა. სიცრუე და ორპირობა არ შეეძლო, არც მიკიბ-მოკიბული ლაპარაკი უყვარდა. თვალს არავის უხვევდა. ყველა გრძნობდა მის ალალმართლობას.

ილიჩი ამხანაგებისადმი გულისხმიერი იყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ციხეში თუ გარეთ, ემიგრაციაში თუ გადასახლებაში, მათთვის დახმარებაზე უარი არ უთქვამს; არც მაშინ, როცა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გახდა.

ამხანაგებს კი არა, უცნობებსაც არ ზარდებოდა, ვისაც კი მისი დახმარება სჭირდებოდა. ილიჩის იმ ერთადერთ წერილში, რომელიც მე შემომრჩა, აი, რას მწერს: „შენ რომ დროდადრო თხოვნის წერილები მოგდის, ვკითხულობ და, თუ კი რამ შემიძლია, ვცდილობ"... ეს ბარათი 1919 წლის ზაფხულშია მოწერილი, როცა ილიჩი უამისოდაც ყელამდე საქმეში იყო ჩაფლული. გაცხარებული სამოქალაქო ომი მძვინვარებდა.

საქმეში წინსვლა დიდ სიხარულს ანიჭებდა ილიჩს. საქმით სულდგმულობდა, საქმე იყო მისი ტრფიალი და გატაცება. ლენინი სულ იმას ცდილობდა, რომ რაც შეიძლება ხალხში ეტრიალა. ახერხებდა კიდეც. სწორედ ეს ხალხში ტრიალი უმდიდრებდა ცოდნას, არკვევდა პროლეტარიატის საბრძოლო ამოცანებში ყოველ ეტაპზე... მისი წერილები და გამოსვლები სავსეა უამრავი შენიშვნებით, ცალკეული გამოთქმებით და მახვილი სიტყვებით, რომლებიც ილიჩს კოლექტივისტად, მუშათა საქმისათვის მებრძოლ ადამიანად ახასიათებს.

კოლექტივისტი და მუშათა საქმისათვის მებრძოლი რომ იყო, ეს დიდი ბედნიერებაა. ასეთი ადამიანი დღითიდღე გრძნობს, როგორ უფართოვდება გონების ჰორიზონტი, მოქმედების სარბიელი, იძენს შრომისა და ცხოვრების გამოცდილებას, გრძნობს, თვითონაც როგორ იზრდება ხალხისა და საქმის წარმატების ზრდასთან ერთად.

ილიჩს გულიანი სიცილი, ხუმრობა უყვარდა. უყვარდა „ცხოვრების მწვანით შემოსილი ხე", პირდაპირ შეჰხაროდა სიცოცხლეს.

ლენინი ვერ იქნებოდა ასეთი ადამიანი, პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში კი არა, სხვა ეპოქაში რომ ეცხოვრა.

მარქსიზმის თეორიამ ჩაუნერგა მას პროლეტარიატის საქმის გამარჯვების ღრმა რწმენა, მიანიჭა შორსმჭვრეტელობის უნარი. პროლეტარული საქმისათვის ბრძოლისა და შრომის საგანგებო შერწყმამ ილიჩი ახალ, მომავლის ადამიანად აქცია, რომელიც მკვეთრად განსხვავდება თავადაზნაურობის და ბურჟუაზიული თუ წვრილბურჟუაზიული გმირისაგან, რომლებიც მოწყვეტილნი არიან ხალხს.

ილიჩის ადამიანობის გაგება იმას ნიშნავს, რომ უფრო ღრმად და უკეთესად გაიგო რა არის სოციალიზმის მშენებლობა, მაშასადამე, — შეიცნო სოციალისტური წყობის ადამიანის სახე.




გიორგი
სანდირაძე

მხატვარი
დიმიტრი
ზარაფიშვილი


# ოქროსფერი ტყეები და მთები

მამა გაზაფხულზე დაბრუნდა. ღობეზე გაზივით გადაწოლილი ფშალა დამძიმებულიყო და ხმელი, გულგამოღრღნილი სარები ალაგ-ალაგ დაეტეხა კიდეც. ოდას ლამფები ჰქონდა გამოსაცვლელი. ყავარი ჩამუქებულიყო და არაღუღებიდან ზანტად მოძვრებოდა უკაცოდ მიტოვებული ქერის კვამლი. საცალფეხო ბილიკზე, ირიბად რომ გასდევდა გორაკს, ჯერ კიდევ თოვლი იდო. თოვლი დნებოდა. იყო მოცვისა და იელების შეკვირტების დრო. ლურჯთვალა კვარკუნჩხასაც ვერ აუვლიდი გვერდს, თხელ თოვლში, ღობის ძირებთან რომ ბრდღვიალებდა.

საჩეხში რაქმებმული თხები აწრიალდნენ — უცნობი შენიშნეს.

მამას არ გაუხედავს საჩეხისაკენ. ჩაფიქრებული იდგა ოდის წინ. სიჩუმეს უსმენდა. მკერდი გაეღელა. წვრილი ღვედებით გადაჭერილი უზარმაზარი ფუთა მიწაზე დაედო.

პატარა იუსუფი სხვენიდან უყურებდა მამას — ვერ იცნო. ვერც ის გაიხსენა, როგორ გაჩნდა სხვენზე. იქნებ მამაკაცის დიდრონმა და წყლიანმა თვალებმა შეაშინა? როცა პირველად უცხო კაცი დაინახა, კიბეზე იდგა, ზევით, თავხესა და ლარტყას შორის გადებულ ფიცარნაგზე აპირებდა ასვლას. იქ ხმელი წაბლითა და კაკლით სავსე კალათი იდგა. კალათს უკან კი, თუნუქის მაღალყელიან სურაში, უგემრიელესი ბეთმეზი ეგულებოდა.

ჰოდა, დედას ხელიდან გაუვარდა ჯამი. ჯამის ერთი ნამსხვრევი ცეცხლში ჩავარდა და აშიშინდა. ამან გული გაუხეთქა პატარა იუსუფს...

— ეჰ, შენ, — გაიღიმა დედამ, — ასე უნდა მამის დახვედრა?!

იუსუფი კიდევ უფრო მიეკრა კედელს. გაილურსა, ცრემლი მოეძალა. წინათ, სანამ მამა შორს იყო, დედა დაისვამდა მუხლებზე და თვალებში ჩაჰხედავდა: „აი, ჩამოვა მამაშენი, ვეტყვი, რომ თვითონ იცვამ სკალტის ახალუხს, ძროხის მოსადენადაც დადიხარ, თევზაობაც იცი“, — ეტყოდა დედა. მაგრამ ახლა ხომ შეიძლება მამა გაბრაზდეს და წაიდეს სხვაგან?

მამა არსად არ აპირებდა წასვლას. იჯდა სუფრასთან. იჯდა გახარებული. იუსუფი მის ფეხებს უყურებდა, ტალახში რომ ამოსვროდა. ჩექმის ყელიდან ჭუჭყიანი სახვევები უჩანდა. „შორიდან მოდის“, — გაიფიქრა ბიჭმა, მაგრამ კედელს მაინც არ მოსცილებია. ისე კი ძალიან უნდოდა ჩამოსულიყო ქვევით, სადაც წვრილი ღვედებით შეკრული ფუთა ეგულებოდა.

იმ ღამეს წვიმად ჩამოიღვარა ცა.

წვიმამ დაბდნო თოვლი და რუ გადარია. სახლის კედლები საშინლად ირყეოდა.

ქარმა რამდენიმე ყავარიააძრო სახურავს. წვიმის წვეთები მოუსვენრად აწკაპუნებდნენ ფიცარნაგზე.

უკანა ოთახში მეზობელ ქალებს დიდი ცეცხლი დაენთოთ. ცხვებოდა ბაქლავა, ქადაპური, ირჩეოდა ნიგოზი...

მამა ცეცხლთან იჯდა. პაპიროსს აბოლებდა.

-- ზღვა მართლა დიდია? — ეკითხებოდნენ მამას.

— კი, დიდია და ზედ თეთრზე თეთრი გემები დაცურავენ. ნავსადგურში კი ათასი ჯურის ხალხი მუშაობს და ყველანი ერთმანეთის ძმებად ითვლებიან.

წვიმა ისევ მოწყვეტით ეხეთქებოდა კედელს.

დილაბნელზე იუსუფი ჩაქუჩის ხმამ გააღვიძა.

მამას ზურგჩანთიდან სათუთად გახვეული სურათი ამოეღო და კედელზე ამაგრებდა. იუსუფმა თვალები ჭყიტა, საბანი გადაიძრო, წამოიწია.

— ეს ლენინია, — თქვა მამამ.

— ლენინი?! — გაიკვირვა დედამ.

— ჰო, ლენინი.

იმ დღეებში მეორე სოფლიდანაც მოდიოდნენ მათთან. დიდხანს ჩერდებოდნენ მამის მოტანილ სურათთან, ჩაფიქრებულები სწევდნენ ყალიონს.

— ეს ლენინია, — ამბობდა მამა, — მას სიკეთე მოაქვს, — და ჰყვებოდა მეათედ, ჰყვებოდა მეასედ, თუ როგორ ჩავიდა ქალაქში და როგორ გაეცნო ნავსადგურის მუშებს.

მამა თუთუნს ახვევს და კმაყოფილი იღიმება. სტუმრებიც იღიმებიან.

— ამბობენ, თურქებს საზღვრები გადმოულახავთო. — ამბობს ერთი.

— ასეთ არეულობაში ყველაფერია მოსალოდნელი, — კვერს უკრავს მეორე.

მამა კი გაყუჩებული ზის. იგი წარმოსადეგი კაცია, მაღალი, მხრებფართო.

იუსუფზე ბედნიერი არავინ არის, მამის გვერდით გატრუნული უდარდელად ახრამუნებს შაქარყინულს.

ყადირამ მხრები გამართა და კედლისაკენ გააპარა მზერა.

— ამ კაცის თვალები სულში გიძვრებიან თითქოს, — თქვა ჩუმად. — მარცხნივ გავიხედე, იქით გამაყოლა თვალი, მარჯვნივ მივბრუნდი, იქაც მაწვდინა მზერა.

— ამ კაცს სიმართლე და თანასწორობა უნდა, — თქვა მამამ, — მას უნდა ჩვენისთანებისთვისაც ანათებდეს მზე, სიღატაკიდან ამოგვიყვანოს...

— სუ, — წამოიძახა ყადირამ, — აბა რას ამბობ!

მამა კი ისევ იღიმება, საცრისოდენა თვალები უბრწყინავს. „რახან მამა ამბობს, ასეა“, — ფიქრობს იუსუფი. მერე, როცა ბუხარში ცეცხლი მინავლდა და ნაკვერჩხლებმა ჩუმად დაიწყო ტკაცუნი, ახლოს მოიწია, მამას მკერდზე მიადო თავი.

— მამა, ა, მამა, მდინარესაც გადასცურავს?

— ვინ, ბაბა?

— აი ის, კედელზე რომ...

— მას ყველაფერი შეუძლია.

— ირემსაც დაეწევა?

— კი.

— საკონკალოზეც გადაივლის?

— გადაივლის.

— კლდეს ასწევს?

— ასწევს.

— მაშ, დევკაცი ყოფილა!

— დევკაცია.

ოთახში სამარისებური სიჩუმეა, ქარი ქრის და სახლი ირწევა. სადღაც, ნიშში, თაგვი დაფაცხუნობს, კაკალი მოუძებნია და ღრღნის.

იუსუფს არ ეძინება, იგი უკვე ვეღარ ხედავს კედელზე დაკიდებულ სურათს, მაგრამ მაინც თვალწინ უდგას პატარა, ხშირი წვერით დაფარული ნიკაპი, მაღალი შუბლი და ოდნავ, სულ ოდნავ მოჭუტული თვალები...

ეს იყო და ეს. მას შემდეგ იუსუფის ცხოვრებაში ლენინი შევიდა, როგორც ყველაზე ახლობელი, როგორც მათი ოჯახის წევრი.

■

იმ წელს ადრე გადამწვანდა ფერდობი. სამყურა და ონიჯო ფეხებში ებლანდებოდა გამვლელს. სოფელს ოთხივე მხრიდან ტყე ეკრა. იუსუფს უყვარდა დაბურული ტყის ცქერა. წამოწვებოდა გულაღმა, თავქვეშ ამოიდებდა ხელებს და ოცნებობდა. ტბაზე სიარულიც უყვარდა იუსუფს. ტბა სახლიდან ორ ვერსზეა. სანდახან, როცა ქარი დაჰქროლებს, ტბა შეირხევა და იუსუფის ფეხებთან ჩუმი შრიალით მიმოაბნევს მარგალიტის მძივებს. მერე სამუადღეოზე ასული მზე ცნობისმოყვარედ ჩაიხედავს მის სიღრმეში და ცხოველი სხივებისაგან კენჭები იწყებენ ციმციმს. ტბა განსაკუთრებით მიმწუხრზეა მიმზიდველი. მაშინ სიჩუმე ზეწარივით ეფინება ტალღებს, მიდამო მოჯადოებული ელის რაღაცას, და აი, უცებ, თითქოს კლდეებს აღმოხდათო, იწყება ჩუმი მუსიკა, იგი ნელა, სულ ნელა მიცურავს ზევით — მთვლემარე ვარსკვლავებისაკენ.

იუსუფს არაფერი ადარდებს ქვეყნად. აბა, რაში ეკითხება, თურქებმა თუ ისევ დაიხიეს უკან? ან, რომ ამბობენ, ჭოროხი ადიდებულა და ნათესები წაულეკავსო.

აჰაია, მერე იუსუფს რა! იგი ჯერ პატარაა და არაფერი ადარდებს ქვეყნად, არაფერი.

ბილიკს მიჰყვება.

კარგა მოზრდილი ჯოხი ხმალივით მოუმარჯვებია და უზაპუნებს მწერის ბუჩქებს. ხან წინ გაუსწრებს, ხან უკან აედევნება ლანდი. მოულოდნელად რაღაც რბილ საგანს წამოსდო ფეხი, გადმოვარდა, იდაყვი დაჰკრა ქვას. საშინლად აეწვა. მოიხედა. გაშეშდა.

— ნენავ! ნენავ!

ბავშვის კივილი ტყვიასავით გავარდა შუადღის მყუდროებაში.

ასიოდე ნაბიჯზე ტყეს ჩეხდნენ სოფლელები. სოფლელებმა მიატოვეს სამუშაო და ბილიკს ჩაუყვნენ სირბილით.

ბილიკის განშტოებასთან იპოვნეს ჯონწასული ბალღი და თავგაჩეჩხილი ქალი. ქალი ბალახებში ეგდო. შედედებულ სისხლს წითლად აეელვარებინა ბალახი..

■

მამა წამოდგა. იგი კიდევ უფრო მოიხარა და სახე გაუქვავდა. ყრუდ ჩაახველა.

იგი ლაპარაკობდა, თუ როგორ იმსხვრეოდა მონობის ბორკილები ქვევით, მაღალი, გაუვალი ტყეებისა და გორების მიღმა... ბორკილებს კი ის ადამიანი ამსხვრევდა, რომლის სურათი მათი სახლის კედელზე ეკიდა, მაჭახელას ზემოთ.

სოფლელები იდგნენ და უსმენდნენ მამას.

ბინდდებოდა.

ტყის განაპირას შავარდენი აფრინდა, წრე მოხაზა და დათოვლილ მთებთან გაუჩინარდა.

■

მთვარეს ჯერ კიდევ არ ევახშმა, ჭიშკართან რომ ძახილი გაისმა.

იუსუფმა ოდის სარკმელში გაყო თავი. პატარა ბიჭი დაინახა. სიბნელეში ვერ იცნო. დაუძახა:

— ეჰეი, რომელი ხარ მანდ?!

— მამაშენი შინ არის? — ჰკითხა ბიჭმა, სუნთქვა უჭირდა. ერბინა.

-- კი, შინ არის.

მამა სამზადიდან გამოვიდა, ბიჭი ახლოს მოდგა.

— ისინი თქვენი სახლის გადაწვას აპირებენ, ძიავ, — თქვა ჩუმად. — ხოჯასთან ვიღაც უცხო კაცები ამოსულან ქვევიდან. ისინი ახლა ხევს გაღმა იქნებიან, მოკლეზე გადმოვედი... ყველაფერს გადაწვავენ, ძიავ, ყადირამ თქვა, თავს უშველონო... ისინი ხევს გაღმა იქნებიან უკვე...

როცა ბიჭი მიიმალა, მამამ თოფი ჩამოიღო, სურათი ჩანთაში ჩადო, ვაზნების ფალასკასთან ერთად. ჩანთა ზურგზე გადაიკიდა.

იუსუფი ათრთოლდა, მაგრამ სიტყვაც არ უთქვამს.

იყო წყნარი, ვარსკვლავიანი ღამე. მამამ იუსუფს ხელი ჩაჰკიდა და ტყე-ტყე დაუყვნენ ბილიკს. ერთხანს იუსუფს უცნაური ჩრდილები აშინებდა, მერე შეეჩვია. მამას დიდი ნაბიჯები ჰქონდა, დაიღალა ბავშვი. გული ისე უცემდა, თითქოს ამოვარდნას ლამობდა.

სარუხოს მთასთან შედგნენ. მიაყურეს სივრცეს, ჩქამიც არ ისმოდა. მამა დაიხარა, ბიჭი აიტაცა და სირბილით დაუყვა ფერდობს. იუსუფი ეკლიანი ბარდების შეხებას გრძნობდა, მაგრამ ითმენდა. „მაინც რა ღონიერია მამა — ფიქრობდა. — რა მსუბუქად მიმაქანებს. მთვარე კი ფეხდაფეხ მოგვდევს".

— მამა, რატომ მოკვდა დედა?

მამა დაიხარა, შუბლზე ეამბორა. მერე მაღლა აიხედა, მთვარე დაინახა, დიდი, ნათელი მთვარე.

— იმიტომ, რომ მთვარეზე ასულიყო.

— მაშ, დედა მთვარიდან გვიყურებს?

— კი, გვიყურებს.

— უჰ, რა კარგია! მაშ დედა გვხედავს?!

მამას არაფერი უთქვამს. კიდევ უფრო მოუმატა ნაბიჯს.

იუსუფს უკვე აღარ ახსოვდა, რამდენ ხანს იარეს. რომელიღაც ხესთან შეისვენეს და ცისკარს დაელოდნენ. ცისკარზე კი ტყის მყუდროება ომახიანმა ხმამ დაარღვია. მამამ თვალი მოიფშვნიტა, თოფი ხელში აიტაცა.

ტყე გუგუნებდა.

მამამ მიაყურა. ეს იყო ნაცნობი სიმღერა, უბრალო, მუშური სიმღერა, რომელიც იქ, პორტში, გაფიცვისას ასწავლეს მტვირთავებმა. ქარი არ ქროდა, არც დიდრონი, ბამბურა ღრუბლები იძროდნენ ცაზე. იდგა გაზაფხულის კარგი დღე და მამა მიხვდა, რომ ეს უბრალო სიმღერა ხეობიდან ისმოდა. ხეობიდან ცხენების ფლოქვებისა და ჭიხვინის ხმაც ისმოდა.

— მგონი ჩვენები მოდიან. — თქვა მამამ.

— ჩვენები?

— ჰო, ლენინი. ლენინის ხალხი მოდის, შვილო.

ის ღამეც ხეობაში გაათიეს. ელვამ გაჰკრა და წამოუშინა თქორი. წითელარმიელებმა კარვები გაშალეს.

კარავში ცივი ქარი შემოიჭრა.

— მე ისე მეშინია! — შეიშმუშნა იუსუფი.

— იყუჩე, ცივი ქარი ქრის, — უთხრა მამამ, — ნაბადი მოიხურე, დაგეძინება.

— მოსწრებული ვაჟკაცი გყოლია, — გაიღიმა წითურა ჯარისკაცმა, შაშხანას რომ წმენდდა.

— კი, ადრე მომესწრო, მაგრამ ადრეც დამიობლდა.

იუსუფი ერთხანს კარავში შეყუჟულ ხალხს ათვალიერებდა. გაოცებით უყურებდა ძაბრისებურ ქუდებზე ანთებულ ვარსკვლავებს. მერე მამის მკერდს მიაყრდნო თავი. მამას საოცრად თბილი და ფართო მკერდი ჰქონდა. ბიჭი გაიტრუნა და კარგა ხნის შემდეგ კარავში მისი მშვიდი ფშვინვა გაისმა. ესიზმრა, თითქოს ლენინმა აიყვანა ხელში. იგი მამასავით ღონიერი და მხიარული იყო. მერე ძირს ჩამოსვა და ისინი წავიდნენ შორს, ძალიან შორს, ისარივით სწორი გზით და ლენინს ისეთავე მომღიმარი თვალები ჰქონდა, როგორც მამის მოტანილ სურათში. მთები კი, იუსუფის ლამაზი მთები, ოქროსფრად დაფერილი ჩანდა.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ვინც კაცის გულთან გულით მივიდა...

ანზორ აბულაშვილი

თბილისში—თეთრი ყვავილის მტვერში,
გამაბრუებელ აპრილის მზეში,
ეს დღე სინათლეს, ისე, ვით მარცვალს
აპნევს თავისი ცისხელა პეშვით.

და, როგორც ცისკრის სხივი ნათელი,
დგას ჩემს ქალაქში ლენინის ძეგლი.
მან გახსნა კარი მზისაკენ ჩვენთვის,
წარსულის ღლეო, დახშული შენგნით.

ის არის თვითონ აპრილის დილა,
ჩვენი პლანეტის იმედი დიდი;
ეს—მისი სიტყვა ჩამოჰგავს ელვას-
გამნათებელი კიდიდან კიდით.

მზე მოუტანა ოფლიან მაშვრალს,
უსაყვედუროდ უბოძა პური
და, რასაც ღმერთიც ამაოდ დაშვრა,
რადგან სასმენად დაეხშო ყურნი,—
მან შესძლო,—ხალხის დროშამ და შვილმა,
ვინც კაცის გულთან გულით მივიდა...
და გაჩნდა ქვეყნად ეს მწველი დილა
მისი ელვარე სიტყვის სხივიდან.

მან მისცა ფერი აპრილის ფეთქვას,
ძეგლად დამდგარმა მამულის გულში...
და ჰგავს მთაწმინდის თეთრ და
სპეტაკ ფრთებს
აფეთქებული ათასი ნუში.



ვ. ი. ლენინი „ისკრის" პერიოდში. მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენამდე მოაღწია ლენინის შრომებმა, მოძღვრებამ და სახელმა, ავუშვით ჩვენი ხომალდის ღუზა და რევოლუციური ბრძოლის ბობოქარ ზღვაში გავედით რწმენით, რომელიც თანდათან მტკიცდებოდა.

პალმირო ტოლიატი
იტალიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

100

# ყველაზე სპეტაკი, ყველაზე მართალი...

100

დილარ ივარდავა

ილუსტრაციები ზ. ტაბიძის ლექსების ციკლისა — „ხამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“ (ლინოგრავიურა)

მხატვარი ჯემალ ლოლუა

1

ჩვენთვის ახლა ლეგენდა
და ზღაპარი არის,
რაც წინაპრებს ებედათ.
დროის ულვთო ზარით
დღეთა ტევრში რეკავდნენ
დაზაფრულნი ყოფით.
მძიმე იყო მეტადრე
განსჯა წუთისოფლის.
ჩვენთვის უცხო,
შორეული
წლები გავაცოცხლოთ,
იმ ბრძოლების ორეული
მივაფიცხოთ კოცონს.

ისევ გათბეს,
აელვარდეს
ქარ-ბორიოს ფრთები, —
წარსულ დღეთა ეკალ-ბარდებს
გავყვეთ მძიმე გზებით.

2

იწვა რუსეთი ზამთრის სუსხში
გამოხვეული
და ჰგავდა კივილს,
შეცხადებას მთელი სხეულით.
ახმიანებდა ბორკილებით დაზაფრულ
მიწას
და... მეცხრამეტე საუკუნის მკლავებზე
იწვა
სასომიხდილი,
გალეული ხალხის რუსეთი, —
ედგა კისერზე ალიკაპი ასე უცვეთი.
ხალხის რუსეთი...
შემოსილი ძაძით და ბინდით!..
ო, სულ სხვა იყო იმპერია მეფის და
მდიდრის.

იქ — სალონებში,
დარბაზებში, მხეცურ ბუნებით,
ოქრო და ვერცხლში ზიმზიმებდნენ
დიდებულები.

დიდებულები?
კაცისმკვლელნი,
გაიძვერანი
პარპაშობდნენ და...
ჟამი იდგა,
ჟამი ვერანი.

მშიერ-ღატაკთა [illegible] გზა და
[illegible]
და ბოგინობდა ზამთრის ჭანგი —
მართლის დამშლელი.

იწვა რუსეთი ღამის სუსხში
გამოხვეული
და ჰგავდა კივილს,
შეცხადებას მთელი სხეულით.

იმჟამად სწორედ,
როცა მწუხრი ღელავდა ყველგან,
როცა სანახებს მითქვრავდა
ცრემლების დელგმა,
იბადებოდა კაცი იგი, რომელმაც მერე
თავისი ფერი დაუბრუნა დაკარგულ
ფერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა











,,აადებოდა კაცი იგი ჩაგრულთ
იმედად,
ებედებოდა ისტორიას აღმა დინება.

3

მემატიანევ მართლის და სწორის,
იმ ძნელ ბრძოლებზე გვიამბე რამე,
ის როგორ იდგა მშრომელთა შორის
და როგორ თრთოდა პიტერის ღამე.
პიტერის ღამე, შავი მანტიით,
ითვლიდა წამებს ოქტომბრის თვეში...
იდგა შემქმნელი დიდი პარტიის,
ხალხის იმედი, ძალა და ფესვი.
განთიადისას ,,ავრორას'' ცეცხლმა
შეაბარბაცა ქვეყანა ძველი.
აღმოხდა დილა ოქროდ და ვერცხლად,—
მზემ მზე უწოდა
ვ ლ ა დ ი მ ე რ   ლ ე ნ ი ნ ს.
როგორც ვეზუვის ვულკანის ლავა
ერგო პომპეის მწველ ბედისწერად,
ისე ჩაგრულთა მოვარდნილ ძალამ
ზამთრის სასახლე გააცამტვერა.
— მეფეთა ტახტი და დინასტია
მორჩა, დასრულდა,
წარსულს ეკუთვნის,
რადგან ჩვენა გვყავს გმირი პარტია —
პარტია ხალხის,
მუშის,
მეგუთნის, —
დაიგრიალეს მარადი რწმენით
იმ მწველ დღეებში ჩვენმა მამებმა;
— ვერ დაგვიბრუნებს ვერასდროს
ვერვინ
უუფლებობას,
შიმშილს,
წამებას.

4

...უცბად როდი დასრულდა
სისხლისმღვრელი ომები,
დამარცხებულ ავსულთა
აღსდგნენ ლეგიონები.
ვით კუნაპეტ ღამეში
შემოჯარვა ქაჯების —
იდგა მტერთა თარეში
ცეცხლითა და ბარჯებით,
ტყვიითა და... მკვლელობით,
წარღვნითა და... ქარ-წვიმით,
უბოროტეს ხელობით
ორთავიან არწივის, —
მოიწევდნენ მსტოვარნი
ცოფიანი კანკალით,
ხალხის მონაპოვარი:
მუშის,
გლეხის აკვანი,
რომ არარად ექციათ —
პირმშო რევოლუციის,
წუთით აღარ ეცლიათ
მზე ჩაგრულს თუ უცინის.

მაგრამ
იდგა ლენინი
უშიშრად და კლდეკარად!
დარჩა მზემოფენილი
მშრომელების ქვეყანა.



5

დიდო ქვეყანავ, რამდენი წელი
ნირშეუცვლელი,
მკვრივი,
ძლიერი
დგახარ,
ვით სურდა ვლადიმერ ლენინს —
სვებედნიერი,
სვებედნიერი.
მიიწევ სულ წინ,
უცხოა შენთვის
დაძაბუნება და მოხრა ქედის;
შენს დიდ მდინარეს ტოტებად ერთვის
მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბედი,
ჩემო ქვეყანავ, პარტია შენი
მთელს პლანეტაზე მშვიდობას ხატავს
და პატაკს აძლევს ყოველდღე ლენინს,
გამარჯვებათა უტყუარ პატაკს.
ჩემო სამშობლოვ, შენი სიმღერა
რა მძლავრია და რა წარმტაცია!
დღეს შენი დროშა ძლევით ირხევა
და გაუკვდავებს შენი პარტია.

ყველაზე სპეტაკს,
ყველაზე მართალს —
ჩვენი ჰანგები ათასფერადი,
რადგან მსოფლიოს ლენინი მართავს —
შენი ბელადი,
ხალხის ბელადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი დღე და ყოველი წუთი

ნარგიზა
მგელაძე



ხაზი საზეიმო იყო,
ხალისიც ზეიმის შესაფერი.
წელი გახლდათ 1969,
თვე — ოქტომბერი.
დღე — ლენინური ორწლედის სტარტისა.

ალერსიანი შემოდგომის მზე სკოლის ეზოს სხივებში ახვევდა. სიო არხევდა პიონერულ ხაზზე ჩამწკრივებული ბავშვების ქოჩრებსა და ყელსახვევის ბოლოებს.

მკვეთრად, ფიცივით ჟღერდა ორწლედით ნაკისრი ვალდებულება:

ვისწავლით კეთილსინდისიერად.

ვიბრძოლებთ, რომ არცერთი პიონერი არ დარჩეს იმავე კლასში.

შევისწავლით ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მოვაწყობთ ლენინისადმი მიძღვნილ გამოფენას.

შეფობას ვიკისრებთ მუხრანის № 1 საშუალო სკოლაზე.

მოვაწყობთ ტურისტულ ლაშქრობას: სკოლა — ვაკის პარკი — კუს ტბა — ფუნიკულიორი.

შევაგროვებთ 40 ტონა ლითონის ჯართს და 8 ტონა მაკულატურას.

დავეხმარებით ვიეტნამელ პიონერებს.

მოვაწყობთ სპორტულ შეჯიბრებას.

ეს იყო თბილისის 134-ე საშუალო სკოლის პიონერთა რაზმეულის ორი წლის სამუშაო გეგმის ძირითადი ორიენტირები.

ამით აპირებდა რაზმეული თავისი წვლილი შეეტანა საყოველთაო სახალხო ზეიმში — დიდი ბელადის დაბადების მეასე წლისთავის იუბილის აღნიშვნაში.

ამიერიდან მათი ყოველი დღე და ყოველი წუთი ივსებოდა ახალი შინაარსით, აზრით, მიზანსწრაფვით.

სტარტი აიღეს და დაიწყო... ცხადია, ერთ ნარკვევში ვერ მოთავსდება და არც არის საჭირო გიამბოთ ამ ყოველ დღესა და ყოველ წუთზე. მე მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე შევჩერდები, რაც განსაკუთრებით მძაფრად აღიბეჭდა პიონერთა გულში.




შთამბეჭდავი დღეები იყო.

ყოველდღე იკრიბებოდნენ პიონერები.

ეწყობოდა ლენინური კითხვა.

მოწვეული მსახიობები, მხატვრული კითხვის წრის წევრები კითხულობდნენ მოთხრობებსა და ლექსებს ლენინზე.

რუსულად და ქართულად კითხულობდნენ ნაწყვეტებს მაიაკოვსკის პოემიდან „ლენინი".

„ტყუპნი არიან პარტია და დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას ორნივ იგი ერთგვარად,
შვენის,
ვიტყვით ლენინი — პარტია გვყავს წარმოდგენილი,
ვამბობთ პარტია — და ვგულისხმობთ ვლადიმერ
ლენინს".

იმ დღეებში ყველამ აღიარა თამრიკო ლორთქიფანი-

ძის, ლია ფეიქრიშვილის, ლია ტატანაშვილის, ნინო ჩუბინიძის დეკლამაციის ნიჭი.

„...დღემდე ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი
ქვისაგან ნაკვეთი ძვირფასი სახე,
მაშინ პირველად ვნახე ლენინი
მაშინ თბილისიც პირველად ვნახე...“

თრთოლვით, კრძალვით კითხულობდნენ პიონერები ქართველი პოეტების ლექსებს.

საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ბელადს ირინე ჩაფიჩაძემ, მზია ბუგიანაშვილმა, გურამ ლეფსვერიძემ.

ხუთმა მეშვიდე კლასმა ერთად ჩაატარა დიდი ლიტერატურული საღამო „ლენინის სახე ქართულ პოეზიაში“.

ეს საღამო დაემთხვა ლენინის სასკოლო მუზეუმის გახსნას.

ო, რა სიყვარულით, რა დიდი მონდომებითა და გატაცებით აგროვებდნენ პიონერები სამუზეუმო ექსპონატებს. აქ იყო მაკეტი რაზლივის ტბასთან მდებარე ილიჩის ქოხისა, იყო უამრავი რეპროდუქცია და მოსწავლეების მიერ შესრულებული ნახატებიც კი, რუსულად და ქართულად ლენინზე დაწერილი წიგნები; გერმანელი მოსწავლეების მიერ გამოგზავნილი ყელსახვევები, ღია ბარათები, რომლებზეც აღბეჭდილია ლენინის სახელთან დაკავშირებული ადგილები.

ცალკე იყო ფოტოგამოფენა „ლენინის სახელობისა“. ყველაფერს ამშვენებდა დიდი ჭედური პორტრეტი — „ლენინი“. მთელი რაზმეული მონაწილეობდა ამ მუზეუმის შექმნაში.

სწავლობდნენ და ქმნიდნენ,
ქმნიდნენ და იზრდებოდნენ.
იზრდებოდნენ ქვეყნის მომავლად და იმედად.

კეთილ გზამკვლევად მიუძღოდათ ბელადის მშობლიური ღიმილი.



## „იქნებ პაპა იყო მენი!“

„შეფობას ვიკისრებთ მუხრანის № 1 საშუალო სკოლაზე“. — ასეთი იყო ორწლედის ვალდებულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი პუნქტი.

რატომ მაინცდამაინც მუხრანი?

აი როგორ გაჩნდა ეს პუნქტი ვალდებულებაში.

ახალ სასწავლო წელს მე-6 კლასში ახალი მოსწავლე მოვიდა.

ბოლო მერხზე განმარტოებით მჯდარი ბიჭი საერთო ურიამულში მონაწილეობას არ იღებდა.

— ტარიელი მქვიაო, — მეტი ვერაფერი ათქმევინეს. იფიქრეს, ჯერ ახალია, დრო მოვა და საერთო ფერხულში ჩაებმებაო.

დრო კი გადიოდა, მაგრამ ტარიელი არ იცვლებოდა. იჯდა მოწყენილი.

თითქოს რაღაცაზე წუხდა.

ერთ დილას მალხაზ ყურულაშვილმა ამბავი მოიტანა.

— ბიჭო, გუშინ ვერაზე ჩავედით ჩვენი კორპუსის ბიჭები. სიჩუმეს მარტო მდინარის შხუილი არღვევდა. უცებ ყეფა შემოგვესმა.

— აქეთ ყურშა, აქეთ, — გაისმა მონადირის ხმაც.

ცოტაც და თვითონ მონადირეც გამოჩნდა.

არ დამიჯერებთ და, ეს ჩვენი ტარიელი არ დავინახეთ! ასეთი მხიარული არასდროს არ მინახავს. გვიამბო როგორ დადიოდა თურმე სანადიროდ მუხრანში, მამას დაჰყვებოდა, კაკაბზეც კი ყოფილა ერთხელ...

— მოიცადეთ, მოიცადეთ, — ტაში შემოჰკრა მანანა კეშელავამ, აი რა მოვიფიქრე: გუშინ რომ ვერაფრით ვერ შევთანხმდით რომელი სოფელი აგვერჩია საშეფოდ, ამაზე საინტერესო რა იქნება, წავიდეთ მუხრანში, ტარიელის სკოლასთან დავამყაროთ მეგობრობა!

— სწორია, კარგია, — ახმაურდნენ ბავშვები.

ამ დროს ზარიც დაირეკა და ოთახში ტარიელი შემოვიდა.

— ტარიელ, — საზეიმო ხმით აუწყა მანანამ, — ჩვენს რაზმს შენს ყოფილ სკოლასთან დამეგობრება სურს. შენ რას იტყვი? გვიმასპინძლებ?

ტარიელ გავაკეთაშვილს თვალები გაუბრწყინდა. სიტყვით ვეღარაფერი თქვა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა რასაც ფიქრობდა.

— ოღონდ, აი, რა, — არ ისვენებდა მანანა, — ჯერ შენ ნიშნები უნდა გამოასწორო. ნუ გეშინია, ჩვენ მოგეხმარებით.

კლასის ხელმძღვანელმა ლიზა ჯიქიამ მოიწონა ბავშვების აზრი.

გადაწყდა: ოქტომბრის პირველსავე შაბათს მიდიან. თან მიაქვთ: ნაირფერი ყელსახვევების სტენდი, წიგნები სკოლის ბიბლიოთეკისათვის, სამახსოვრო საჩუქარი.

დაეხმარებიან სიმინდის რჩევაში, ყურძნის კრეფაში. (ტარიელისაგან გაიგეს, სკოლის ნაკვეთზე ყანაც გვაქვს, ვენახიცო).

როგორც იქნა, ნანატრი შაბათიც გათენდა და საზეიმოდ მორთული, ამღერებული ავტობუსი მცხეთის გზას დაადგა.

ხოლო თუ როგორი სტუმარ-მასპინძლობა ჰქონდათ მუხრანში, ამის მოწმე მე არ ვყოფილვარ, სამაგიეროდ, ნინო ჩუბინიძის დღიურიდან მოგაწვდით ჩანაწერს. საგანგებოდ გამოშვებულ კედლის გაზეთშიც კარგად არის ასახული ეს სტუმრობა!

აი, რა სწერია ნინოს დღიურში:

„მეგობრებმა შემოგვთავაზეს მუხრანის დათვალიერება და პირველად მუხრან ბატონის სასახლისაკენ გაგვიძღვნენ. ახლა იქ მუხრანის საცდელი საბჭოთა მეურნეობაა მოთავსებული.

დიდებული სასახლეა. უცებ მეხსიერებაში ამოტივტივდა:

„მუხრან ბატონის ყმობითა,
ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა...“

აი, აქ, ამ კიბეებზე ჩამობრძანდებოდა ხოლმე მრისხანე მუხრან-ბატონი და ყმა გლეხებს შიშის ზარს სცემდა. რას წარმოიდგენდა ზვიადი ბატონი, თუ საუკუნეებს გადაეცემოდა მისი ავკაცობა ხალხურ კვნესა-სიმღერაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შეფები მუხრანის № 1-საშუალო სკოლის მოსწავლეებთან

აი, როგორ იძიეს მასზე შური დრომ და ხალხმა:

„მუხრან ბატონის ყმობითაა!“... კიდეც წამოიწყო სიმღერა ლადო ჯავახიშვილმა და სხვებიც აჰყვნენ.

სიმღერა გაძლიერდა, გადიდდა, ამაღლდა, აგვაღელვა.

გაიგოს მუხრან ბატონმა, რომ ბოლო მოეღო ბატონობას და ძალდატანებას, რომ იქნებ აქაც, ამ ამღერებულ ბავშვებში იმის შორეული შთამომავალიც ურევია, ვინც პირველად თქვა ეს უკვდავი სიმღერა.

იქნებ კი არა, და, ნამდვილად ასეა. ისიც აქაური გლეხკაცი იქნებოდა, მოზვრით კალოს გალეწვაზე რომ ოცნებობდა და სიმღერას მაინც არ იშლიდა, და დღევანდელი ჩვენი მასპინძლებიც, მუხრანული ჯიშის ვაშლებივით რომ დაბრაწვიათ ლოყები, აქაურები — მუხარნელები არიან.

„ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“...
სასახლის ეზო ედემს ჰგავს.
ყვავილები, ყვავილები...
ნეტავ ასეთი ეზო გვქონდეს ჩვენც თბილისში.

მასპინძლებმა შემოგვთავაზეს კონკურსი საუკეთესო თაიგულის შეკვრაზე. სიამოვნებით მივიღეთ გამოწვევა.

ეზო ტყეს უერთდება.

ტყეს შევერიეთ.

ტყეში შემოდგომის ყვავილები საოცნებო სურნელს აფრქვევენ.

ბუნების ნამდვილ დღესასწაულზე მოვხვდით.

ჩიტები გალობდნენ, ხეთა კენწეროები ჭრიალით იხრებოდა აქეთ-იქით. ხის ტოტებში მშიშარა ციყვსაც კი მოვკარით თვალი. ეტყობოდა ზამთრისთვის მარაგს იკეთებდა. ჩვენს დანახვაზე სწრაფად გაუჩინარდა.

ჰაერი აბრეშუმივით რბილი და გამჭვირვალე იყო. ხავსს და ბალახს სულ სხვაგვარი ფერი ედო. თაიგულებით ჟიურის წინაშე წარვსდექით.

გაჭირდა საუკეთესოს ამორჩევა.

ის თაიგულები ჩვენს მასწავლებლებს მივართვით.

შებინდდა.

წამოსვლის დროა.

გვიჭირს დაშორება.

მუხრანელმა მეგობრებმა სამახსოვროდ გამოგვატანეს ვარდის, იასამნისა და ვაშლის ნერგები. მათ ჩვენი სკოლის ეზოს მეგობრობის კვალში დავრგავთ“. აი, კიდევ მეორე ჩანაწერი, მისი ავტორი ქეთინო სულაბერიძეა.

„....მუხრანელებს ყველაფერი აინტერესებთ: როგორ ვცხოვრობთ, როგორ ვსწავლობთ, როგორ ვეხმარებით ერთმანეთს. ერთმა ისიც კი გვკითხა: თბილისის ზოოპარკში ნიანგი თუ ჰყავთო, და, საერთოდ, ზოოპარკში პატარა ნიანგები თუ იბადებიანო... არ ვიცი ამ ბიჭს ასე რამ შეაყვარა ნიანგები. სამწუხაროდ, ვერაფერი ვუპასუხეთ. შევპირდით კი, უსათუოდ გავიგებთ და შემოგითვლითო.

სამაგიეროდ, ბევრი ვესაუბრეთ იმაზე, თუ როგორ

ვეხმარებით ერთმანეთს სწავლაში.

მოუწონათ „სახწრაფო დახმარების" ეკიპაჟების მუშაობა. ჩვენც ჩამოვაყალიბებთ ასეთ ეკიპაჟებსო, — გვითხრეს.

ძალიანაც კარგს იზამთ, თუ მეგობრობაა კიდეც უნდა ეხმაროთ ერთმანეთისაგან!

სკოლა რომ დავათვალიერეთ, აღმოჩნდა, რომ ქიმიის კაბინეტს ბევრი მოწყობილობა აკლდა. ჩვენ საუკეთესო კაბინეტი გვაქვს. ვეტყვით ქიმიის მასწავლებელს ქეთევან ...ძეშვილს და მეორე ჩამოსვლაზე უსათუოდ ჩამოვიტანთ კაბინეტის ძირითად მოწყობილობას მაინც".

ამ ...ისადმი მიძღვნილ კედლის გაზეთში კი თბილისელი ფეხბურთელთა გუნდის კაპიტნის ალეკო მღივნის წერილია, — „მასპინძლებმა გვაჯობეს".

„არცერთი ბურთი არ გაეშვა წლევანდელ სეზონში ჩვენს მეკარეს გურამ ნოზაძეს, აქ კი სამჯერ ზედიზედ შეიჭრა ჩვენი კარის ბადე. თუმცა ერთი პენალტი ისეთი დარტყმული იყო, რომ შეუძლებელი იყო ბურთის დაჭერა".

თემურ ნემსაძეს კი ყველაზე კარგად რთველი დაამახსოვრდა: „ძლივს ვისწავლე რქაწითელისა და ციცქის ერთმანეთისაგან გარჩევა".

რთველი უხვი და ბარაქიანი იყო.

კრეფაში გოგოებმა გვაჯობეს.

სამაგიეროდ, გიდრების გატანაში უჩვეულოდ რას გახდებოდნენ.

მასპინძლებმა ჩხები და აკიდოები აგვიკრეს. ქარვისფერ მტევნებში ერთ მარცვალს ვერ ნახავდი მწვანეს. თითქოს მზეს მარტო მათი ვენახისათვის მოეცალა, ისე ჩაეტკბო და ჩაეშაქრა მტევნები.

ვწუხვ, რომ პოეტური ნიჭი არ მაქვს, თორემ ხომ ვიტყოდი, როგორც ტიციან ტაბიძეს უთქვამს:

...ვინ დარგო ეროვ... ამდენი ვ...

ხერხს რომ არ ...ტოხდეს, ხელ ვ სამშობლო,

...ა, არ იყოს ასე ლამაზი"

...ვინ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ლე...ნის ოთახში", „ლენინური ორწლედის სტარტი მუხრანში ავიღეთ".

კედლის გაზეთში გამოქვეყნებულ ამ წერილებს ხელს აწერენ: დალი დანელია, ნოდარ ...ღვაშვილი, თემურ ნემსაძე, ქეთინო დევანოსიძე. თბილისის 134-ე სკოლის ეზოში ამაყად შრიალებს უკვე ... აშოლტილი ხეები, ისინი ლამაზ მეგობრობაზე ესაუბრ იან გამვლელ-გამომვლელთ.

ეს უკვე სხვა ამბავია. უფრო სწორედ, იმ ამბის გაგრძელებაა, კერძოდ იმისა, თუ როგორ ჩამოვიდნენ მუხრანელები თბილისში და რა ღიდი ... იმით მიიღეს ისინი თბილისელმა პიონერებმა სკოლაში და პიონერთა სასახლის ლენინის ოთახში.

ამ ამბავს სხვა დროს გიამბობთ.



სიმონ შამუგიანი

# მან დამანახა სამყარო ვრცელი

რომ არა დიდი ლენინის სითბო,
მე გამთოშავდა სუსხი ბნელეთის,
ვერ ავანთებდი სიმართლით სტრიქონს,
ასე ხმიანად ვერ ვიმღერებდი.

ვერ ავცდებოდი წინაპრის იღბალს
(გაფიქრებაც კი საშინელია...), —
ხეობებს იქით, მყინვარებს მიღმა,
სად უფსკრულები მსხვერპლს მიელიან,

მე, როგორც მ...ნა ადათის, შურლის,
ავწევდი თოფის ულმობელ ლულას,
და გზაწვრილებზე გაწაფულ მუხლით
შევეყრებოდი მეზობელს მტრულად,

ან ვიქნებოდი მორჩილი ბედის,
გავინათებდი კერიას კვარით,
და ერთიანად მოხრილი ქედით
ბარიდან მთაში ვზიდავდი მარილს.

მაგრამ მე ამცდა ხვედრი ამგვარი,
მე წილად მერგო ბედი ნამდვილი,
რადგან აკვანი, ჩემი აკვანი
ლენინის შუქში არის გათლილი...

ლენინმა ყმაწვილს ჩამკიდა ხელი
და გამიყვანა გაშლილ შარაზე,
მან დამანახა სამყარო ვრცელი,
ბუნების ეშხი და სილამაზე.

მან გამომასხა ფრთები საფრენი,
მარგუნა შვება და სიხარული;
მან აამაღლა მზეში ნაფერი,
ულამაზესი ჩემი მამული.

მიდიან ასე ნათელი დღენი,
ვიცი, ხვალ უფრო მძლავრად ინათებს;
თავზე დამხარის ბელადი ბრძენი
და წინ მიმიძღვის მისი სიმართლე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი.
მხატვარი ნ. ჟუკოვი.

ლენინი ისე იქცეოდა, როგორც იქცევა თანასწორი თანასწორთა შორის, რომლებთანაც იგი დაკავშირებულია თავისი გულის ყველა ძაფით. მასში „ძალაუფლების მქონე ადამიანის" ნატამალიც არ იგრძნობოდა. პარტიაში მისი ავტორიტეტი იყო ავტორიტეტი უიდეალურესი ბელადისა და ამხანაგისა, რომლის უპირატესობის წინაშე ქედს იხრი იმის შეგნების გამო, რომ იგი ყოველთვის გაგიგებს და, თავის მხრივ, სურს, რომ მას გაუგო.

კლარა ცეტკინი,
გერმანიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე

100

იმპერიალიზმის ეპოქაში არა მარტო მუშათა კლასის მოძრაობა, არამედ მსოფლიო ისტორიის საერთო მოძრაობაც ვითარდება ისე, როგორც ამას ჭვრეტდა დიდი ლენინის ნათელი გონია.

მორის ტორეზი,
საფრანგეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე.

100

ლენინისა და მისი იდეების ძალის დიადი წყარო სწორედ ის იყო, რომ მან საფუძვლიანად ზუსტად იცოდა, საით მიდის და საით მიჰყავს ისტორიულ განვითარებას.

იულიუს ფუჩიკი,
ჩეხი მწერალი და პუბლიცისტი.

როგორიც არ უნდა იყოს ამ ბრძოლის უახლოესი შედეგი, ლენინი და მისი რუსეთი, მისი ჰუმანურობა და სამართლიანობა, რაც მან ქვეყნის მართვაში შეიტანა, საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს. ვინაიდან, თუმცა ლენინი ცოცხალთა შორის აღარ არის, მაგრამ სოციალური წყობილება, რომელიც მან შექმნა, და, რომელიც მისმა თანამებრძოლებმა და მემკვიდრეებმა მის შემდეგ აღრინდელ ძლიერებამდე და სიდიადემდე მიიყვანეს, არასოდეს არ დაიკარგება მომავალი თაობებისათვის.

თეოდორ დრაიზერი,
ამერიკელი მწერალი.

# ქართველი პოეტები ლენინზე



კაცობრიობის მომავლისათვის

მხატვარი ზურაბ ლეჟავა.

*

როცა მოვარდა ოქტომბერი
ქარის სისწრაფით,
როცა უსმენდნენ მას
მუშები თრთოლვით, ცახცახით.
რევოლუცია ალსდგა ისე,
როგორც მნათობი
და გამოცხადდა,
ლენინის სახით.

**ვალერიან გაფრინდაშვილი**

*

ლენინის სიტყვა,
მწამს, მომავალშიც
გულის ფიცარზე
ყველას ეწეროს;
ვარსკვლავად კრთოდეს,
მზედ ენთოს თვალში,
რწმენაში ვარდად
ალმოეცენოს!

●

— ჰკვეთავს ლენინის აზრი ხმალივით,
და ალმასივით
არ ილუნება,
უძლეველია ქარიშხალივით,
აზვირთებული მისი ბუნება.
ბნელს რომ მოჰგლეჯავს
ძირფესვიანად.
ეს სიტყვებია გასაგონებლად.
— გულსაც რომ დასწვავს
და სულს რომ ასწევს,
და არწივებთან აჰყავს გონება...

**გიორგი ლეონიძე**

*

შენ დაიბადე აპრილის თვეში,
როცა ილვიძებს მიწა გამთბარი,
როცა მწვანდება სხივების თქეშით
ჩვენი ქუჩები, ჩვენი მთა-ბარი.

აბა სად გვყავდა ჩვენ მოამაგე?
სიმართლის მარცვალს ელოდა ხნული,—
მოხვედ და კვირტმა გააპო ბაგე
და დაუმკვიდრე ხალხს გაზაფხული.

**იოსებ გრიშაშვილი**

*

კაცობრიობის დიად ბრძოლების
ჩანხარ იმედად და ყავარჯენად.
გზას კვლავ გვინათებს ცეცხლის ზოლივით
მზისკენ გაწვდილი შენი მარჯვენა.

**ალექსანდრე აბაშელი**

*

ჩვენ დავიბადეთ იმ ნათელ ღამით.
როდესაც მიწა შეიძრა წამით,
და როცა ატყდა ბალტიის მხრიდან
გრიგალი—
ქვეყნის ხსნად მოვლენილი
მაშინ ნევაზე „ავრორა“ იდგა
და ტრიბუნაზე—დიდი ლენინი.

ეს იყო ცხრაას ჩვიდმეტი წელი.
ლენინი იდგა გაწვდილი ხელით,
მან გამარჯვება ხალხებს ახარა,
მან მოაბრუნა მზისკენ გულები,
მას შემდეგ მიწაც ბრუნავს
სხვაგვარად
ლენინის ხელის მიმართულებით.

**მიხეილ ქვლივიძე**

11301.

## ლენინი საქართველოში

დღემდის ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი:
ქვისგან ნაკვეთი ნაცნობი სახე,
მაშინ პირველად ვნახე ლენინი,
მაშინ თბილისიც პირველად ვნახე.

პირველად ვნახე სინათლით სავსე,
ჩემი სამშობლოს გული ნამდვილი,
იდგა ლენინი კაშხალის თავზე
და გაჰყურებდა მტკვარს ხელგაწვდილი.

ზაჰესის შუქი ცად აფრენილი,
ეწერებოდა ჩემს გულის ფიცარს;
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.

იმ დღიდან შუქის გამომსახველად,
ბავშვის ოცნებას, როგორც აჩრდილი,
ყველგან თან გაჰყვა, ვით ცისარტყელა,
ლენინის ხელი მტკვარზე გაწვდილი.

და ყველგან, სადაც ძლიერი დენით
სინათლემ თავზე გადამიარა,
ხრამზეც, რიონზეც ვხედავდი ლენინს,
სინათლეს ქცეულს ადამიანად.

დღესაც, სამგორის დათხრილი მიწის,
როცა ცოცხლდება გოჯი ყოველი,
წინ ისევ მისი აჩრდილი მიძღვის,
ვით ჩირაღდანი გაუქრობელი.

ვგრძნობ ოცნების ფრთებს ჩუმად რომ
მასხამს.
მდინარის პირს რომ გადამატარებს;
იორზე ვხედავ უთვალავ კაშხალს,
წისქვილებივით პატარ-პატარებს.

ოცნებით ვხედავ: უდაბნო, ველი,
როგორ შეჰხარის თვალის ახელას,
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი,
იორზეც მოჩანს, ვით ცისარტყელა.

მას აქაც ვხედავ, დგას ამართული,
მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი,
ტალღას ძლიერი ტალღა გადუვლის
და კაშკაშს იწყებს ირგვლივ მთა-ბარი.

და თრთოლვით მისდევს მავთულებს დენი,
ბნელი რომ შუქით გაამზიანა...
ოცნებით ვხედავ იორზეც ლენინს —
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

**გრიგოლ აბაშიძე**

სურათების სერია — ლენინური იდეები

მხატვარი ზურაბ კაპანაძე



მ ა ქ ს ი მ   გ ო რ კ ი

# «ეს ჩვენია»



ვ. ი. ლენინი ა. მ. გორკისთან კუნძულ კაპრზე.
1908 წ. მაისი.

ნაწყვეტი ნარკვევიდან „ვ. ი. ლენინი"

...მაგრამ აი, სწრაფად ავიდა კათედრაზე ვლადიმერ ილიჩი და ენის მოკიდებით წარმოთქვა „ამხანაგებო". თავდაპირველად მომეჩვენა, რომ იგი ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მე, ისევე როგორც სხვები, სავსებით „შთანმთქა" მისმა სიტყვამ. პირველად ვისმენდი, რომ პოლიტიკის ურთულეს საკითხებზე შეიძლებოდა ასე უბრალოდ ლაპარაკი. იგი არ ცდილობდა ლამაზი ფრაზების შეთხზვას და ყოველ სიტყვას თითქოს ხელისგულზე გაშლილს გაწვდიდა, და საოცრად ადვილად აშიშვლებდა მის ნამდვილ მნიშვნელობას. ძალიან ძნელია იმ არაჩვეულებრივი შთაბეჭდილების გადმოცემა, რომელსაც იგი იწვევდა.

წინ გაწვდილი ხელითა და ცოტა მაღლა აწეული ხელისგულით, რომელზეც თითქო სწონიდა ყოველ სიტყვას. სცხრილავდა მოწინააღმდეგეთა ფრაზებს, სცვლიდა მათ მტკიცე დებულებებით, ასაბუთებდა მუშათა კლასის უფლებას და მოვალეობას — იაროს თავისი საკუთარი გზით და არა ლიბერალური ბურჟუაზიის უკან ან თუნდაც მის გვერდით. ყოველივე ეს არაჩვეულებრივი იყო და იგი, ლენინი, თითქოს თავისით კი არა, მართლაც ისტორიის ნებასურვილით ლაპარაკობდა. მისი სიტყვის გაბმული ძარღვი, პირდაპირობა და სიმტკიცე, თვით იგი მთლიანად კათედრაზე — თითქოს კლასიკური ხელოვნების ნაწარმოები იყო: ყველაფერი ადგილზეა. არაფერი ზედმეტი, არავითარი ზიზილპიპილები. და თუ ისინი მაინც იყო, მათ ვერ შეამჩნევდი. ისინი ისევე ბუნებრივი და საჭირო გახლდათ, როგორც სახეზე ორი თვალი, ან ხელზე ხუთი თითი.

დროის ხანგრძლივობის მიხედვით, იგი უფრო ნაკლებს ლაპარაკობდა, ვიდრე მანამდე გამოსული ორატორები, ხოლო შთაბეჭდილების მიხედვით — გაცილებით უფრო მეტს; მარტო მე როდი ვიგრძენი ეს, ჩემს უკან აღტაცებით ჩურჩულებდნენ:

— მსუყედ ლაპარაკობს...

ასეც იყო; თვითეული მისი საბუთი თავისთავად იშლებოდა მასში მოქცეული ძალის მეოხებით.

მენშევიკები არ მალავდნენ, რომ ლენინის სიტყვა მათ არ მოეწონათ და თვითონ იგი ხომ სრულიად არ მოსწონდათ. და, რამდენადაც უფრო დამაჯერებლად ამტკიცებდა იგი პარტიისათვის რევოლუციური თეორიის სიმაღლეზე ასვლის აუცილებლობას, რათა ყოველმხრივად შემოწმებული ყოფილიყო პრაქტიკა, მით უფრო მეტი გაბოროტებით აწყვეტინებდნენ ისინი სიტყვას.

— ყრილობა ფილოსოფიაზე მსჯელობის ადგილი არ არის!

— ნუ გვასწავლით, ჩვენ გიმნაზიელები როდი ვართ!

განსაკუთრებულად მონდომებული იყო რომელიღაც ახოვანი, წვეროსანი, მედუქნეს რომ მოგაგონებდა; იგი წამოხტებოდა ხოლმე სკამიდან და ენის ბორძიკით ყვიროდა:

— შე-თქმუ-ლე-ბი... შ-შეთქმულებას თამაშობთ: ბ-ბლანკისტებო!..

... გალიზიანების, ირონიის, სიძულვილის ბოროტი და ცხელი ნიავი ჰქროდა დარბაზში, ასეული თვალი სულ სხვადასხვაგვარად აშუქებდა ვლადიმერ ილიჩის ფიგურას. არ ემჩნეოდა, რომ მტრული გამოხდომები აღელვებდა მას იგი ლაპარაკობდა მხურვალედ, მაგრამ დინჯად. მტკიცედ. რამდენიმე დღის შემდეგ გავიგე, თუ რა უჯდებოდა მას ეს გარეგნული სიმშვიდე. საკვირველი და საწყენი იყო, როცა ხედავდი, რომ მისდამი მტრობას იწვევდა ასეთი ბუნებრივი აზრი: მხოლოდ თეორიის სიმაღლიდან შეუძლია პარტიას დაინახოს მასში მომხდარი უთანხმოების მიზეზები. მე შემექმნა ასეთი შთაბეჭდილება: ყრილობის ყოველი დღე სულ ახალ და ახალ ძალას ანიჭებს მეთქი ვლადიმერ ილიჩს, ძლევს მას სიმხნევეს, ... ... ... მისი სიტყვა ... ... ... უფრო მყარი და შეურყეველი ხდება.

...თავისუფალ წუთებს, საათებს იგი ატარებდა მუშათა შორის, მათი ყოფა-ცხოვრების წვრილმანებსაც კი არ ტოვებდა უყურადღებოდ.

— ჰო მაგრამ, ქალები როგორ არიან? აწუხებთ ოჯახური საქმიანობა? და მაინც სწავლობენ, კითხულობენ?

რამდენიმე მუშამ, რომლებმაც პირველად ნახეს ლენინი, ჰაიდ-პარკში დაიწყეს ლაპარაკი ლენინის ქცევაზე ყრილობის დროს. ერთმა მათგანმა დამახასიათებელი რამ თქვა:

—არ ვიცი, შეიძლება აქ, ევროპაში. მუშებს სხვაც ჰყავთ ასეთივე ჭკვიანი კაცი, — ბებელი, ან კიდევ სხვა ვინმე. მაგრამ არა მჯერა, რომ კიდევ იყოს მეორე ადამიანი, რომელსაც ისე უცებ შევიყვარებდი, როგორც ამას!

მეორე მუშამ გაიღიმა და დაუმატა:

— ეს ჩვენია!

მას შეეკამათნენ:

— პლეხანოვიც ჩვენია.

«ძ

ვირფასო ამხანაგო, ძალიან მაცდუნებელია, თქვენთან კაპრში ჩამოსვლა", — სწერდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჟენევიდან დიდ რუს მწერალს მაქსიმ გორკის 1908 წლის იანვარში, მოწვევის პასუხად.

ამ დროს მაქსიმ გორკი ხმელთაშუაზღვის კუნძულ კაპრზე ცხოვრობდა ოჯახით. ეს მარადმწვანე ბუნებაში ჩაფლული, სუბტროპიკული ჰავის მქონე კუნძული კარგად ჰკურნავდა დიდი მწერლის დასნეულებულ ფილტვებს.

აქვე კაპრზე ცხოვრობდნენ რუსეთიდან ლტოლვილი რევოლუციონერები ა. ლუნაჩარსკი, ა. ბოგდანოვი და ვ. ბაზაროვი. გორკი ხშირად ხვდებოდა მათ. საუბრებში შეიტყო, თუ რა იდეური განხეთქილება ჰქონდა მათთან ლენინს და ძალიან წუხდა ამის გამო.

გორკიმ ვლადიმერ ილიას ძე 1905 წელს გაიცნო პეტერბურგში. დიდმა ადამიანებმა მყისვე გაუგეს ერთმანეთს და ძალიან დამეგობრდნენ. მაგრამ შემდგომ აღარ შეხვედრილან. ალექსი მაქსიმეს ძეს დიდი სურვილი ჰქონდა კაპრზე ეხილა მეგობარი. გულში იდეურ მეტოქეთა შერიგებაც სწადდა.

კაპრზე ვლადიმერ ილიას ძე შვეიცარიიდან აპრილში ჩამოვიდა. შეხვედრისას ლენინმა გააფრთხილა მეგობარი, შერიგებაზე ლაპარაკი ზედმეტიაო. მათი შერიგება აღარც გორკის უცდია, თუმცა კუნძულზე ყოფნისას ვლადიმერ ილიას ძე ხშირად ხვდებოდა იდეურ მოწინააღმდეგეებს.

მასპინძელმა ყველაფერი იღონა, რომ ძვირფას სტუმარს კარგად დაესვენა.

ვლადიმერ ილიას ძე თითქმის ყოველდღე ჭადრაკს ეთამაშებოდა ბოგდანოვს გორკის აგარაკის „ბლეზუსის" აივანზე. ბოგდანოვის სახით ლენინს საკმაოდ ძლიერი პარტნიორი ჰყავდა. ცნობილი რუსი ოსტატის ა. ხარდინის შემდეგ მას ასეთი ღირსეული მეტოქე ალბათ არა ჰყოლია.

მაქსიმ გორკი წერს: „იგი გატაცებით ეთამაშებოდა ბოგდანოვს ჭადრაკს და. წაგებისას, გულიც კი მოსდიოდა, როგორღაც ბავშვურადაც მოიწყენდა ხოლმე. საინტერესოა: ეს ბავშვური სევდაც კი, ისე როგორც მისი შესანიშნავი სიცილი, სრულებით არ არღვევდა მისი ხასიათის მთლიანობას".

ვლადიმერ ილიას ძეს არ უყვარდა ფოტოსურათის გადაღება. გორკის კი ძალიან უნდოდა მეგობარი ჭადრაკის დაფასთან აღებეჭდა. მართალია, თვითონ ალექსი მაქსიმეს ძე არ იყო ჭადრაკის ტრფიალი, მაგრამ სწამდა ამ თამაშის სიბრძნე და, რაც მთავარია, ხიბლავდა ლენინის მებრძოლი სული, შემართება.

გორკიმ ვლადიმერ ილიას ძეს, თავისი ეზოს იერი ქელიაბუჟსკის საპეიზაჟო, ზღაპრული და იუმორისტული ფოტოსურათები გააცნო. ლენინი იცინოდა და ხუმრობდა: როგორც კი იერის თვალს მოვკრავ, მაშინვე მისკენ ზურგით შევბრუნდებიო.

ყმაწვილმა ფოტოგრაფმა მაინც შეძლო ვლადიმერ ილიას ძის სურათის გადაღება. როგორც ჩანს, ლენინი ისე გაეტაცა თამაშს, რომ ვერც კი შეამჩნია როდის გადაუღეს სურათი.

შემდგომ გამოირკვა, რომ ჭადრაკის დაფასთან გადაღებული ლენინის ეს ფოტოსურათი ერთადერთი ყოფილა.

საჭადრაკო მაგიდაზე ცოტა ფიგურა დარჩენილა. მეტოქეები ენდშპილის თამაშს გაუტაცია. ღრმად ჩაფიქ-

მ ა ქ ს ი მ   გ ო რ კ ი ს   თ ა ო ს ნ ო ბ ი თ

ამაზე გაისმა მოსწრებული პასუხი:

— პლეხანოვი ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბატონია, ლენინი კი ბელადი და ამხანაგია ჩვენი.

ერთმა ახალგაზრდამ ოხუნჯურად შენიშნა:

— პლეხანოვს სერთუკი უჭერს.

ჩვენი პატარა კომპანია ყოველთვის ერთსა და იმავე პატარა, იაფფასიან რესტორანში სადილობდა. მე შევნიშნე, რომ ვლადიმერ ილიჩი ძალიან ცოტას ჭამდა: ორი-სამი კვერცხისაგან გაკეთებულ ტაფამწვარს, შაშხის პატარა ნაჭერს, სვამდა ერთ ჭიქა სქელ, შავ ლუდს. ყველაფერში ეტყობოდა, რომ იგი თავის თავს ყურადღებას არ აქცევდა, და მე მანცვიფრებდა მისი საოცარი ზრუნვა მუშებზე. მუშების კვებას მ. თ. ანდრეევა განაგებდა და ილიჩი ეკითხებოდა მას:

— როგორ ფიქრობთ, ხომ არ შიმშილობენ ამხანაგები? არა? ჰმ, ჰმ... იქნებ გაუდიდოთ ბუტერბროდები?

მივედი სასტუმროში, სადაც ვცხოვრობდი, და ვხედავ: შეწუხებული სინჯავს ჩემს ქვეშაგებს.

— რას აკეთებთ?

— ვათვალიერებ, ზეწრები დანესტიანებული ხომ არ არის-მეთქი.

პირველად ვერ მივხვდი: რად უნდოდა იმის ცოდნა, თუ როგორი ზეწრებია ლონდონში? მან შენიშნა ჩემი გაკვირვება და მითხრა:

— თქვენ ვალდებული ხართ, გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას.

18 წლის შემოდგომაზე სორმოველ მუშას დიმიტრი პავლოვს, ვკითხე, — ლენინის ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება რა არის-მეთქი.

— სისადავე. სადაა, როგორც სიმართლე. მითხრა მან, როგორც დიდი ხნით ადრე გადაჭრილი და კარგად ნაფიქრი რამ.

...დაახლოებით ორი წლის შემდეგ კაპრზე მან დაწვრილებით გამომკითხა კაპრიელ მეთევზეთა ცხოვრების შესახებ, მათს ხელფასზე, ხუცების გავლენაზე, სკოლაზე. მე ძლიერ მაკვირვებდა მის ინტერესთა სიფართოვე. როდესაც ილიჩს უთხრეს, რომ აი, ეს ხუცესი ღარიბი გლეხის შვილიაო, მან იმწამსვე მოითხოვა შეეკრიბათ მისთვის ცნობები: რამდენად ხშირია შემთხვევები, როცა გლეხები თავიანთ შვილებს სემინარიაში გზავნიან, და ბრუნდებიან თუ არა გლეხის შვილები ხუცესებად თავის სოფელში?

— იცით? თუ ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშასადამე, ეს ვატიკანის პოლიტიკაა — ეშმაკური პოლიტიკა!

იგი იტალიურად არ ლაპარაკობდა. მაგრამ კაპრიელმა მეთევზეებმა, რომელთაც შალიაპინი და ბევრი სხვა გამოჩენილი რუსი ადამიანები ჰყავდათ ნანახი, რაღაც ალღოთი ლენინს განსაკუთრებული ადგილი მიუჩინეს თავიანთ გულში. მომხიბლავი იყო მისი სიცილი, — „გულიდან ამოსული“ სიცილი იმ კაცისა, რომელიც მშვენივრად ხედავდა ადამიანთა სიბრიყვეს, მოუხეშაობას და გონების ჯამბაზურ ეშმაკობას, მაგრამ მაინც ახერხებდა დამტკბარიყო „უბრალო გულთა“ ბავშვური გულუბრყვილობით.

ძველმა მეთევზემ, ჯიოვანი სპადარომ, მასზე თქვა:

— ასე სიცილი მხოლოდ პატიოსან ადამიანს შეუძლია.

იჯდა ლენინი ცასავით გამჭვირვალე, ცისფერ ტალღაზე მოქანავე ნავში და სწავლობდა თევზის ჭერას უჯოხოდ, ანკესით, რომლის მკედიც თითზე ჰქონდა დახვეული. მეთევზეები უხსნიდნენ: ანკესი მაშინ უნდა ამოაგდოთ, როდესაც

რებულ ვლადიმერ ილიას ძეს ზამთრის კოსტუმი აცვია. მის გვერდით პოზიციას ჩაუფიქრებია ცნობილი წიგნის მრეწველი ი. ლადიჟენიკოვი. დგანან ა. ბოგდანოვის მეუღლე და ზინოვი პეშკოვი (საინტერესოა, რომ იგი საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის იაკობ სვერდლოვის ძმა და მაქსიმ გორკის შვილობილი, მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთში წინააღმდეგობის აქტიური მოღვაწე გახლდათ და როგორც საფრანგეთის გენერალი, გენერალ დე გოლის თანამებრძოლი იყო).

აქვე მოაჯირზე მოკალათებულია მასპინძელიც — მაქსიმ გორკი, რომელიც ინტერესით ადევნებს თვალს მეტოქეთა განცდებს.

## როგორ თამაშობდა ლენინი ჭადრაკს

ახლობლებმა და მეგობრებმა შემოგვინახეს თავიანთ მოგონებებში, თუ როგორ თამაშობდა ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ჭადრაკს.

ძველი რევოლუციონერი, ჭადრაკში ლენინის დიდი ხნის მეტოქე პ. ლეპეშინსკი წერს: „ვლადიმერ ილიას ძე ისე ემოციურად კი არ თამაშობდა,როგორც კარლ მარქსი, არამედ — უაღრესად მშვიდობიანად. მარქსი ძალიან განიცდიდა თამაშის ფინალს — მხიარულად იყო, როცა მოიგებდა, წაგებისას მოიწყენდა, ნერვიულობდა ჭადრაკის თამაშის დროს. ლენინი არაფრით არ გამოავლენდა თავის შინაგან განცდებს. ეს როდი ნიშნავს, თითქოს მისთვის სულერთი ყოფილიყოს თამაში. იგი ღრმად განიცდიდა საჭადრაკო დაფაზე ამტყდარი „სისხლიანი ბრძოლის პერიპეტიებს“.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ვლადიმერ ილიას-ძის პაექრობა მეგობარ რევოლუციონერებთან პ. ლეპეშინსკისთან, ს. სტარკოვთან და გ. კრჟიჟანოვსკისთან მინუსინსკში გადასახლებისას. ლენინი სამივეს ერთ პარტიას ეთამაშებოდა. როცა მან ორი ფიგურა წააგო და პოზიცია საეჭვო გაუხდა, არაჩვეულებრივი სულიერი სიმხნევე, ოპტიმიზმი გამოავლინა და შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ შემოატრიალა. ეს ისე გააკეთა, რომ სულაც არ გამოუმჟღავნებია შინაგანი მღელვარება.

ვლადიმერ ილიას ძეს არ უყვარდა „მსუბუქი“ პარტიების თამაში. მუდამ სერიოზულად თამაშობდა, ღრმად

თითი მკედის თრთოლვას იგრძნობსო.

— კოზი: დრინ-დრინ, კაპიშ?

ამ დროს მკედი მართლაც შეირხა, ლენინმა მაშინვე ამოაგდო ანკესი და ბავშვური აღტაცებით და მონადირის გატაცებით დაიძახა:

— აჰა! დრინ-დრინ!

მეთევზეებმაც მორთეს ხმამაღალი ხარხარი. ბავშვებივით მხიარულად ხარხარებდნენ და მეთევზეს ამის შემდეგ „სინიორ დრინ-დრინ“ დაარქვეს.

მისი წასვლის შემდეგ ისინი მეკითხებოდნენ:

— როგორ ცხოვრობს დრინ-დრინი? მეფე ხომ ვერაფერს დააკლებს მას?

...მხიბლავდა მასში ცხოვრებისადმი მკაფიოდ გამოხატული ნებისყოფა და ცხოვრების სისაძაგლისადმი მისი აქტიური სიძულვილი. ვტკბებოდი მისი ახალგაზრდული გატაცებით, რომლითაც ის ავსებდა ყველაფერს, რასაც კი აკეთებდა. მაკვირვებდა მისი არაადამიანური შრომისუნარიანობა. მისი მოძრაობა მსუბუქი და მოხდენილი იყო, ხოლო ძუნწი, მაგრამ ძლიერი ჟესტი სავსებით ეგუებოდა მის სიტყვით და აზრით მდიდარ ლაპარაკს. მონღოლურ პირისახეზე იწვოდნენ, თამაშობდნენ ცხოვრების ტყუილისა და უბედურების წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლის გამჭრიახი თვალები, იწვოდნენ, ხან იჭუტებოდნენ და ხან ირონიულად იღიმებოდნენ, ან გულისწყრომით გამოანათებდნენ, და თვალების ეს ბრწყინვალება უფრო მწვავესა და მკაფიოს ხდიდა მის სიტყვას.

ხანდახან გეჩვენებოდა, რომ მისი მარად დაუცხრომელი ენერგია ნაკვესებად ცვივოდა თვალებიდან და სიტყვები ბრწყინავდნენ ჰაერში. მისი სიტყვა ყოველთვის იწვევდა შეუპოვარი სიმართლის ფიზიკურ გრძნობას.

...მშიერ და მძიმე 19 წელში ლენინს რცხვენოდა იმ პროდუქტების ჭამა, რომელსაც მას პროვინციიდან უგზავნიდნენ ამხანაგები, ჯარისკაცები და გლეხები. როდესაც მის მოუწყობელ ბინაში ამანათები შეჰქონდათ, იგი იღუშებოდა, უხერხულად გრძნობდა თავს და ცდილობდა საჩქაროდ დაერიგებია ავადმყოფი და უჭმელობისაგან დასუსტებული ამხანაგებისათვის ფქვილი, შაქარი, კარაქი. ერთხელ, სადილად რომ დამპატიჟა მითხრა:

— შებოლილი თევზით გაგიმასპინძლდებით — ასტრახანიდან გამოგზავნეს.

შეიჭმუხნა სოკრატისებური შუბლი, განზე გაიხედა თავისი ყველაფრისგამჭვრეტი თვალებით და დაუმატა:

— მიგზავნიან, თითქოს ბატონი ვიყო! როგორ გინდა ამას თავი დააღწიო? უარი რომ უთხრა და არ მიიღო, — აწყენინებ. გარშემო კი ყველა შიმშილობს.

მეტად მცირე მოთხოვნილების ადამიანი, ღვინისა და თამბაქოს მოძულე, დილიდან საღამომდე რთულ და მძიმე მუშაობაში ჩაფლული. იგი სრულიად არ აქცევდა ყურადღებას თავისთავს, მაგრამ ამხანაგების ცხოვრებიდან არაფერი არ გამოეპარებოდა. აი, უზის თავის კაბინეტში მაგიდას, გამალებით წერს და ქაღალდიდან კალმის მოუშორებლად ამბობს:

— გამარჯობათ, როგორა ხართ? ახლავე დავამთავრებ. ერთი ამხანაგია პროვინციაში, მოწყენილია. როგორც ჩანს, დაიღალა. საჭიროა მივეშველოთ. განწყობილება პატარა ამბავი როდი გახლავთ!

ერთხელ, მოსკოვში, მიველი მასთან. მეკითხება:

გრძნობდა ბრძოლის მსვლელობას. ჭადრაკში მისთვის მთავარი იყო შეუპოვარი ბრძოლა, საუკეთესო სვლის ძიგნება, თითქოს უიმედო მდგომარეობიდან თავის დაღწევა.

„თავისთავად მოგება და წაგება მას ნაკლებად აინტერესებდა, — წერს ვლადიმერ ილიას ძის უმცროსი ძმა დიმიტრი ულიანოვი. — მას კმაყოფილებას ანიჭებდა მეტოქის კარგი, და არა ცუდი სვლა. ყოფილა შემთხვევა. მეტოქის უაზრო თამაშით პარტია ადვილად რომ მოუგია. ასეთ დროს იგი სიცილით შენიშნავდა: „მე კი არ მოვიგე, შენ წააგე“.

ვლადიმერ ილიას ძე სუსტ მეტოქეს მუდამ რომელიმე ფიგურას აძლევდა წინდაწინ ძალების გასათანაბრებლად, როცა თავმოყვარე მეტოქე უარს ამბობდა, ვლადიმერ ილიას ძე იტყოდა: „რა საინტერესოა ჩემთვის თამაში თანაბარი ძალებით, თუ საჭირო არ იქნება ფიქრი ბრძოლა“... იგი ამჯობინებდა უფრო სუსტი ყოფილიყო მასზე, ვისაც წინდაწინ ფიგურას აძლევდა.

„როცა უეტლოდ ბევრჯერ მოვუგე და ვთხოვე ახლა უმხედროდ ეთამაშა, პირობა დამიდო: „თუ მოიგებ ზედიზედ სამ პარტიას, მაშინ გეთამაშები“, — იხსენებს დიმიტრი ილიას ძე.

— ჯერ კიდევ ბავშვობაში ვლადიმერ ილიას ძეს შესანიშნავი წესი ჰქონდა, რომელსაც თვითონ იცავდა და მკაცრად მოითხოვდა მეტოქისგან: ნათამაშევი სვლები არამცდაარამც უკან არ უნდა დაებრუნებინათ. „მოჰკიდი ხელი ფიგურას — იმითვე ითამაშე“.

ჭაბუკობაში და შემდგომ ცნობილ რუს ოსტატთან ა. ხარდინთან შეხვედრებისას ვლადიმერ ილიას ძე საჭადრაკო წიგნებსაც კი კითხულობდა. მან კარგად იცოდა იმ დროისთვის პოპულარული დებიუტები. რომელსაც თავადაც თამაშობდა.

პ. ლეპეშინსკი მოგონებებში აღნიშნავს, რომ ვლადიმერ ილიას ძე თამაშს მუდამ 1. e2—e4 სვლით იწყებდა მან კარგად იცოდა მეფის გამბიტის სხვადასხვა გაგრძელება. შავი ფიგურებით თამაშის დროსაც ამ მწვავე დაწყებას აჰყვებოდა ხოლმე. 1. 1e2—e4 სვლაზე იგი მუდამ 1. ...e7—e5-ს უპასუხებდა.

დიმიტრი ილიას ძე ამბობს. ძმასთან პარტია სამ-ოთხ საათს მიგრძელდებოდაო. სანამ იგი კარგად არ ჩასწვდებოდა პოზიციას, არ შეამოწმებდა გაანგარიშებულ ვარიანტებს, სვლას არ გააკეთებდა, პარტია არ მთავრდებოდაო.

თანამედროვეთა აზრით, ვლადიმერ ილიას ძე საკმაოდ ძლიერად თამაშობდა. ჭადრაკს რომ გაჰყოლოდა იგი. უთუოდ თვალსაჩინო მოჭადრაკე იქნებოდა.

თენგიზ გიორგაძე.

— ისადილეთ?

კი.

— ხომ არ იტყუებით?

— კრემლის სასადილოში ვისადილე, მოწმეები მყავს.

— გამიგონია, იქ თურმე საძაგლად ამზადებენ კერძებს.

— საძაგლად არა, მაგრამ უკეთესად კი შეეძლოთ.

მან იმ წუთშივე დაწვრილებით გამომკითხა: რატომ ამზადებენ ცუდად, რით არის შესაძლებელი კერძების გაუმჯობესება?

და გაჯავრებით აბუზღუნდა:

—ნუთუ არ შეუძლიათ კარგი მზარეულის პოვნა? ხალხი პირდაპირ გონსწასვლამდე მუშაობს და საჭიროა მათთვის გემრიელი ლუკმის მიწოდება, რომ მეტი ჭამონ. ვიცი, სანოვაგე ცოტაა და თანაც ცუდი, — აქ საჭიროა დახელოვნებული მზარეული. — და მოიყვანა ციტატა რომელიღაც ჰიგიენისტის მსჯელობიდან, თუ რა როლს ასრულებს გემრიელი საკაზმი კვებისა და საჭმლის მონელების პროცესში. მე შევეკითხე:

— როგორ ასწრებთ თქვენ ასეთ რამეზე ფიქრს?

ისიც შემეკითხა:

— რაციონალურ კვებაზე?

და თავისი სიტყვების კილოთი მაგრძნობინა, რომ ჩემი შეკითხვა უადგილო იყო.

...იგი ძალზე ნაკლებად აქცევდა ყურადღებას თავისთავს და თავის შესახებ არავის ელაპარაკებოდა. მას, როგორც არავის, შეეძლო თავის სულში აღძრულ გრიგალებზე კრინტი არ დაეძრა. მაგრამ ერთხელ, გორკაში, ვილაცის ბავშვებს რომ ეფერებოდა, თქვა:

— აი ესენი ჩვენზე უკეთესად იცხოვრებენ; ბევრ რამეს, რითაც ჩვენ ვცხოვრობდით, ისინი უკვე აღარ გამოსცდიან, მათი ცხოვრება ნაკლებ სასტიკი იქნება. — შემდევ შორს, ბორცვებში ღრმად ჩამჯდარი სოფლისაკენ გაიხედა და ფიქრიანად დაუმატა:

— მაგრამ მე მაინც არ მშურს მათი. ჩვენმა თაობამ შესძლო შეესრულებინა თავისი ისტორიული მნიშვნელობით საკვირველი საქმე. ჩვენი ცხოვრების სისასტიკე, გამოწვეული პირობებით, გაგებული და გამართლებული იქნება. ყველაფერს გაიგებენ, ყველაფერს!

ბავშვებს იგი ფრთხილად ეფერებოდა, განსაკუთრებულად მსუბუქი და მოკრძალებული ხელის შეხებით.

ერთხელაც შევედი მასთან და ვხედავ: მაგიდაზე „ომი და მშვიდობის" ტომი დევს.

— ჰო, ტოლსტოია! ნადირობის სცენის წაკითხვა მომინდა, მაგრამ გამახსენდა, რომ ამხანაგს წერილი უნდა მივსწერო. სრულიად არ მრჩება დრო კითხვისათვის. მხოლოდ წუხელის წავიკითხე თქვენი წიგნი ტოლსტოიზე.

გაიღიმა, თვალები მილულა, ნეტარებით გაიჭიმა სავარძელში და დაბალი ხმით სწრაფად განაგრძო:

— რამოდენა კლდის ნახეთქია, ჰა? რამოდენა ადამიანია! აი, მხატვარი... და იცით, კიდევ რა არის საკვირველი? ამ გრაფამდე ნამდვილი გლეხი ლიტერატურაში არ ყოფილა.

შემდეგ მოჭუტული თვალებით შემომხედა და მკითხა:

— ევროპაში ვისი დაყენება შეიძლება მის გვერდით?

და თვითონვე უპასუხა თავისთავს:

— არავისი.

და ხელების ფშვნეტით, კმაყოფილმა გაიცინა.

ხშირად შემიმჩნევია მისთვის რუსული ხელოვნებით სიამაყე. ზოგჯერ ეს თვისება ლენინისათვის მეტისმეტად უცხო და გულუბრყვილო რამედ მიმაჩნდა. მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ამაში იხატებოდა მუშათა კლასისადმი მისი ღრმად დაფარული და ხალისიანი სიყვარულის გამოძახილი.

კაპრზე, როცა აკვირდებოდა, თუ როგორ შლიდნენ მეთევზეები ზვიგენის მიერ დაგლეჯილ და აბურდულ ბადეს, მან თქვა:

— ჩვენები უფრო მარჯვედ მუშაობენ.

ხოლო როცა მე ამის თაობაზე ეჭვი გამოვთქვი, მან წყენით მითხრა:

— ჰმ-ჰმ, ხომ არ გავიწყდებათ თქვენ რუსეთი ამ კუნძულზე რომ ცხოვრობთ?

ვ. ა. დესნიცკი-სტროევმა მიამბო, რომ ერთხელ იგი ლენინთან ერთად შვეციაში მოგზაურობდა და, ვაგონში ყოფნის დროს, დიურერზე გერმანულ მონოგრაფიას ათვალიერებდა.

მათთან კუპეში მყოფმა გერმანელებმა ჰკითხეს მას, რა წიგნი გიჭირავთო ხელში. გამოირკვა, რომ მათ თურმე არაფერი იცოდნენ თავიანთ უდიდეს მხატვარზე. ამ ამბავმა თითქმის აღტაცებაში მოიყვანა ლენინი და მან ორჯერ, სიამაყით, უთხრა დესნიცკის:

— ესენი თავისიანებს არ იცნობენ, ჩვენ კი ვიცნობთ.

ერთ საღამოს მოსკოვში, ე. პ. პეშკოვას ბინაზე, ლენინმა, დობროვეინის მიერ შესრულებული ბეთჰოვენის სონატა რომ მოისმინა, თქვა:

— არაფერი არ მეგულება „Appasionata"-ზე უკეთესი, მზად ვარ ყოველდღე მოვისმინო იგი. განსაცვიფრებელი, არაადამიანური მუსიკაა. მე ყოველთვის, შეიძლება გულუბრყვილოდ, მაგრამ სიამაყით ვფიქრობ: აი რა სასწაულების მოხდენა შეუძლია ადამიანს!

მერე თვალები მოჭუტა, გაიღიმა და ნაღვლიანად დაუმატა:

— მაგრამ მუსიკის ხშირად მოსმენა არ შემიძლია, ნერვებზე მოქმედებს, მომინდება ხოლმე სისულელეები ვილაპარაკო და თავზე ხელი გადავუსვა იმ ადამიანებს, რომელთაც ბინძურ ჯოჯოხეთში ცხოვრებისას ასეთი მშვენიერების შექმნა შეუძლიათ. დღეს კი თავზე ხელს ვერავის გადაუსვამ, — ხელს მოგჭამენ; საჭიროა თავში ცემა, შეუბრალებელი ცემა, . თუმცა ჩვენ, იდეალში, ადამიანზე ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგი ვართ. ჰმ-ჰმ, ჯოჯოხეთურად ძნელი თანამდებობაა!

თვითონაც თითქმის ავადმყოფი და ძალზე დაღლილი, 1921 წლის 9 აგვისტოს მწერდა:

...ისე ვარ დაქანცული, რომ ალარაფრის თავი არა მაქვს. თქვენ კი სისხლს ახველებთ და მაინც არ მიდიხართ!! ეს, მართალი გითხრათ, უსინდისობაცაა და უთავბოლობაც. ევროპაში, კარგ სანატორიუმში, კიდეც იმკურნალებდით და სამჯერ მეტ საქმესაც გააკეთებდით. დამიჯერეთ, ჩვენთან კი არც მკურნალობაა, არც საქმეები კეთდება, მხოლოდ ფაციფუცია, ამაო ფაციფუცი. გაემგზავრეთ, გამოჯანსაღდით, ნუ ჯიუტობთ, გთხოვთ!

ერთ წელიწადზე მეტ ხანს საოცარი დაჟინებით მოითხოვდა, რომ წავსულიყავი რუსეთიდან, და მე მაკვირვებდა: როგორ ახსოვდა მას, მთლიანად მუშაობაში ჩაფლულს, რომ სადღაც ვილაც ავად არის და დასვენებას საჭიროებს?!

ასეთი წერილი, აქ რომ მოვიყვანე, მას ალბათ ათეულობით ჰქონდა მიწერილი სხვადასხვა ადამიანებისათვის...

# გამარჯობა, პატარა «პროფესიონალო»

მარგო თომაძე

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

ეს პატარა მოთხრობები დაწერილია იმ ადამიანთა მოგონებების მიხედვით, რომელთაც ბავშვობაში პირადად უნახავთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, უსაუბრიათ მასთან, მოუსმენიათ მისი მგზნებარე სიტყვები ხალხმრავალ მიტინგებზე.

ვიქტორი შინ სულ მარტო იყო. წიგნს ათვალიერებდა, თან ხშირ-ხშირად კარებისკენ იხედებოდა.

„დედა დღეს მუშაობას გვიან ამთავრებს, მამაც რატომღაც იგვიანებს“, — ფიქრობდა იგი.

კარი გაიღო და ოთახში მამა შემოვიდა. ვიქტორი სწრაფად წამოდგა და შეეგება.



— ჩაი უკვე ავადუღე, — ახარა მამას.

— მე რომ ვერ მოვიცდი? ფრაქციის სხდომაზე მაგვიანდება. დღეს ლენინი გვესწრება, — უთხრა მამამ.

ვიქტორმა ყური ცქვიტა.

— მეც წამოვალ რა, — მორიდებით ჩაილაპარაკა.

— სხდომა გვიანობამდე გაგრძელდება. ჩაგეძინება, — მიუგო მამამ, აქაღალდე აიღო და წასასვლელად მოემზადა.

— წამიყვანე, გეხვეწები! — კიდევ სთხოვა ვიქტორმა. მამამ ბიჭს შეხედა. შვილის თვალები უსიტყვოდ ემუდარებოდნენ.

— აბა, ჩქარა მოემზადე და წამოდი, ნუღარ დავიგვიანებთ.

პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ფრაქციის სხდომა მართლაც დიდხანს გაგრძელდა. თორმეტ საათს გადაცილებული იყო, ლენინი რომ სიტყვით გამოვიდა.

მამამ ბიჭს გახედა. ის მთელი გულისყურით უსმენდა ლენინს. ლენინის შემდეგ სხვებიც გამოვიდნენ.

როცა ვლადიმერ ილიას ძე წასასვლელად მოემზადა, მამა მივიდა მასთან და სთხოვა, თუ არ შეწუხდებით, იქნებ ვიქტორიც წაიყვანოთ მანქანითო.

— დიდი სიამოვნებით წავიყვან პატარა „პროფესიონალს“, — გაიღიმა ვლადიმერ ილიას ძემ. ბიჭი გვერდით მოისვა და საუბარი გაუბა.

ვიქტორი ერთხანს უხერხულად გრძნობდა თავს. დიდი ადამიანის გვერდით ასე ახლოს ჯდომა ერიდებოდა. მაგრამ უხერხულობა მალე გაუქრა.

— ამ თეატრში ყოფილხარ? — ჰკითხა ვლადიმერ ილიას ძემ, როცა ნეზლობინის თეატრს ჩაუარეს.

— არა, არ ვყოფილვარ, — მიუგო ვიქტორმა.

— არც მე ვყოფილვარ, — ჩაილაპარაკა ვლადიმერ ილიას ძემ.

„ოხოტნი რიადთან“ ქუჩის კედლები აჭრელებული იყო ფუტურისტების ნამუშევრებით.

— როგორ მოგწონს ეს? — ვიქტორს ვლადიმერ ილიას ძემ ფუტურისტულ ნახატებზე ანიშნა.

— არა, არ მომწონს, — უპასუხა ბიჭმა.

— მართალი გითხრა, მეც ძალიან ნაკლებად ვხვდები, რა არის აქ დახატული, — თქვა ლენინმა.

ვლადიმერ ილიას ძემ კიდევ რამდენიმე შეკითხვა მისცა ვიქტორს. ლენინს მოეწონა ბიჭი. იგი თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ ნაკითხი და მომზადებული აღმოჩნდა. ვიქტორის სახლს რომ მიუახლოვდნენ, ისინი უკვე მეგობრულად საუბრობდნენ.

— ნახვამდის, პატარა „პროფესიონალო“! — დაემშვიდობა ვლადიმერ ილიას ძე.

მას შემდეგ, როცა ლენინს შეხვდებოდა ხოლმე, ვიქტორი სალმის მიცემას პირველი ვერ ბედავდა, ვფიქრობდა: ლენინს აუარებელი საქმე აქვს, დღეში ათას ვინმეს ხვდება, მე სადღა ვეხსომებიო, მაგრამ ლენინი, როგორც კი შენიშნავდა მას, ყოველთვის ხალისიანად ხვდებოდა და ღიმილით იტყოდა ხოლმე:

— გამარჯობა, პატარა „პროფესიონალო“!

# ბიჭი წითელ მოედანზე

რამდენიმე ათასი კაცი ელოდა ლენინს წითელ მოედანზე. სუსტი, გამხდარი ბიჭი ნემსივით მიძვრებოდა ტრიბუნისკენ. იგი თითქმის სულ წინ იყო ტრიბუნასთან ახლოს, მაგრამ დიდები ეფარებოდნენ და მაინც ვერაფერს ხედავდა ლურჯი ცის ნაგლეჯის გარდა, რომელიც მის თავს ზემოთ მოჩანდა. უცებ გაისმა შეძახილები:

— ილიჩი! ილიჩი! გაუმარჯოს ამხანაგ ლენინს!

ბიჭი ცდილობდა რაიმეზე ასულიყო და ლენინი დაენახა. მაგრამ გარშემო არაფერი იყო ისეთი, რომ ჩასჭიდებოდა. აქეთ-იქიდან ხელს ჰკრავდნენ, უჯიკავებდნენ, მისი დარდი ვისა ჰქონდა, ყველას უნდოდა ლენინის ნახვა. ბიჭი ჯერ ატირდა. მერე ძალა მოიკრიბა, ერთ მუშას მხარში ჩააფრინდა, ფეხები პალტოს ჯიბეებში ჩაუყო და ციყვივით შეახტა ზურგზე. ბიჭი მოელოდა, რომ მუშა მაშინვე ჩამოაგდებდა და კისერშიც წაუთაქებდა, მაგრამ ამას არ დაგიდევდათ, — ერთი წუთით ხომ მაინც შეხედავდა ლენინს!.. მისი პატარა. დაძარღვული ხელი ძლივს სწვდებოდა მუშის განიერ მხრებს, თითები უსხლტებოდა, თავს ძლივსძლივობით იმაგრებდა.

— შე, არამზადავ! — უთხრა მუშამ. — მაგრად ჩამჭიდე ხელი, თორემ ჩამოვარდები.

ბიჭმა წვრილი მკლავები მუშას კისერზე შემოხვია და თავი ბარტყივით ამოყო ზევით. იგი ახლა ყველაზე მაღალი იყო და კარგად ხედავდა, როგორ მოდიოდა ტრიბუნისაკენ ლენინი. მუშები დიდი გაჭირვებით იხევდნენ უკან და გზას უთავისუფლებდნენ. ვლადიმერ ილიას ძეს მუქი ფერის ტანისამოსი, თეთრი პერანგი ეცვა, საყელო გადმოკეცილი ჰქონდა. ჰალსტუხი ეკეთა, თავზე კეპი ეხურა.

„მეფეს ჯარები და ჟანდარმები იცავდნენ, უბრალო ხალხს ახლოსაც არ იკარებდნენ, — ფიქრობდა ბიჭი, — ლენინი კი ამოდენა ხალხში მარტო მოდის, მცველებიც არა ჰყავს“...

ტრიბუნაზე რომ ავიდა, ვლადიმერ ილიას ძემ ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლზე ოფლი მოიწმინდა. მერე ხელი ოდნავ ასწია და ხალხით გაჭედილ წითელ მოედანს ერთმა სიტყვამ გადაუქროლა:

— ამხანაგებო!

უცებ საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა.

ბიჭს, ცხადია, არ ესმოდა ყველაფერი რაზეც ლენინი ლაპარაკობდა, მაგრამ მთავარი მაინც გაიგო:

„ლენინს არ უნდა ომი. ლენინი მოითხოვს ზავსა და მშვიდობას“. — ფიქრობდა ბიჭი. ის გულმოდგინედ ათვალიერებდა ბელადის სახეს. თვალს აყოლებდა მისი ხელების მოძრაობას. ზოგჯერ ხალხს გადახედავდა, ყველა სულგანაბული უსმენდა ბელადს და, როცა ძლიერ მოეწონებოდათ რამე, მქუხარე ტაშისცემით, შეძახილებით აწყვეტინებდნენ სიტყვას. ბიჭიც ეხმაურებოდა ხალხის შეძახილებს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაჰყვიროდა: — გაუმარჯოს ლენინს! გაუმარჯოს ლენინს!

ტრიბუნაზე მზის სხივები ოქროსფრად იფრქვეოდა, ვლადიმერ ილიას ძე თვალებს ჭუტავდა და იღიმებოდა.






ბიჭს უხაროდა, რომ ახლოს იყო ტრიბუნასთან და ასე კარგად ხედავდა ლენინს. ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს ლენინი მათ უყურებდა. მაშინ იგი მუშას კისერზე ხელს მაგრად უჭერდა და აღტაცებული ჩასძახოდა:

— ხედავ, ლენინი ჩვენ გვიყურებს!

როცა ლენინმა სიტყვა დაასრულა, გაისმა ტაშის გრიალი, შეძახილები, სიმღერა. მთელი წითელი მოედანი ზანზარებდა. მუშამ ბიჭს წვივზე იდაყვი წაჰკრა.

— არამზადავ! გეყოფა ნებივრობა, ჩამოდი ძირს.

ბიჭი ძირს ნელ-ნელა ეშვებოდა. თან ლენინს თვალს არ აშორებდა.

— ჩქარა, რა კუსავით მობობღავ, — აჩქარებდა მუშა. როცა ბიჭი ჩამოვიდა, მუშამ ახედ-დახედა. მის წინ ძვალწვრილი, გალეული ბიჭი იდგა, თეთრ. ჭორფლიან სახეზე საოცრად მკვირცხლი, მომწვანო თვალები გაბედულ იერს აძლევდა. მუშას მოეწონა ბიჭი, გაუღიმა და თვალი ჩაუკრა, — აი, თურმე, როგორი ყოფილა ეს რწყილი! — ჩაილაპარაკა და თავის გზას გაუდგა.

## ახალი წიგნები

### ჩვენი უახლოესი მეგობარი

დიდი ლენინის საიუბილეოდ „ნაკადულმა“ გამოსცა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას წიგნი „ჩვენი უახლოესი მეგობარი“. ნ. კრუპსკაია, ლენინის მეუღლე და მისი უახლოესი თანამებრძოლი, თავის მოგონებებში პარტიის შექმნისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თავდადებულ ბრძოლაზე გვესაუბრება. გვიამბობს, თუ როგორ გატაცებით უძღოდა წინ ბელადი მშრომელ ხალხს მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში; გვესაუბრება ვლადიმერ ილიას ძის ბავშვობაზე, მის კეთილშობილურ თვისებებზე, ოჯახსა და მშობლებზე; იგონებს ლენინის უფროსი ძმის ალექსანდრეს ჩამოხრჩობის ამბავს. ალექსანდრე ხომ მეფეზე თავდასხმის მზადებაში იღებდა მონაწილეობას. ძმის მარცხმა ვლადიმერ ილიას ძე დაარწმუნა, რომ მათი არჩეული გზა სწორი არ იყო და მტკიცედ თქვა: „არა, ჩვენ ამ გზით ვერ წავალთ, ასეთი გზით არ უნდა ვიაროთ“.

ძვირფასო ბავშვებო! ამ წიგნში ბევრ საგულისხმოს წაიკითხავთ თქვენს დიდ მეგობარსა და მოამაგე ვლადიმერ ილიას ძე ლენინზე. თქვენთვის ნათელი გახდება საითკენ უნდა ისწრაფოდეთ და როგორი უნდა იყოს კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანი.

### მოთხრობები ვლადიმერ ლენინზე

ჩვენთვის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი წვრილმანი ძვირფასია, განსაკუთრებით თუ ამბავს ისეთი კაცი გვიყვება, ვისაც ბელადი თავისი თვალით ჰყავს ნანახი და მის ახლოს საქმიანობდა.

ამ წიგნის ავტორი ოლღა კონსტანტინეს ასული მატიუშინა ჯერ რევოლუციამდელ პარტიულ გამომცემლობებში „ვპერიოდსა“ და „ჟიზნ ი ზნანიეში“ მუშაობდა, ხოლო 1918 წლიდან კი გამომცემლობა „კომუნისტში“. აი, სწორედ აქ ხვდებოდა ოლღა მატიუშინა ვ. ი. ლენინს, ნ. კ. კრუპსკაიას, მ. ი. ულიანოვასა და სხვა მოღვაწეებს, ვინც ახლოს იყო ბოლშევიკურ პარტიასთან. ამ პატარა წიგნში ნათლად არის დახატული ბელადის — ჭეშმარიტად კაცური კაცის სახე და ის გარემო, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა დიდი ლენინი.







### ასეთი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

რევოლუციური მოძრაობის ძველი მოღვაწე ელენე დიმიტრის ასული სტასოვა წლების მანძილზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინთან მუშაობდა. მოგონებების ამ პატარა წიგნში სტასოვა აგვიწერს ვ. ი. ლენინთან შეხვედრებს, გვესაუბრება მის დაუღალავ შრომისმოყვარეობაზე, მის უდიდეს ნიჭიერებაზე, ადამიანურ თვისებებზე.

„ვლადიმერ ილიას ძე მხოლოდ ჩვენი ხელმძღვანელი როდი იყო, მეგობრობასაც გვიწევდა, თავისუფლად მივდიოდით და ვუზიარებდით, ვისაც რა გულისტკივილი გვქონდა. ვეკითხებოდით რჩევა-დარიგებას და გვარკვევდა გაუგებარ საკითხებში, პოლიტიკური იყო ეს თუ პირადი. — იგონებს ავტორი.

---

საჭიროა აღინიშნოს ლენინის კიდევ ერთი, არაჩვეულებრივად ძლიერ განვითარებული უნარი — ცხოვრების ყველა შემთხვევაში შეენარჩუნებინა დინჯი, მშვიდი და მტკიცე სულიერი მდგომარეობა... მან იცოდა, რომ ასეთი წონასწორობა საჭიროა პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რომელიც მთელი მისი სიცოცხლის აზრს შეადგენდა. აი, რატომ იყო, რომ იგი მტკიცედ ივითარებდა ამ თვისებას და ცდილობდა მის შენარჩუნებას.

**ანრი ბარბიუსი,**
ფრანგი მწერალი.

100

ძლიერების შთაბეჭდილება, რომელიც მისგან მომდინარეობდა, ღრმავდებოდა მისი მეტყველების უშუალო ძალით, რის თქმაც უნდოდა, იმას ამბობდა პირდაპირ, ნათლად. არავითარ ბუნდოვან სიტყვას არ მიმართავდა. ლენინთან საუბარში შეუძლებელი იყო რაიმე გაუგებრობა, ვერავინ ვერ წავიდოდა მისგან ყალბი შთაბეჭდილებებით. იგი ამისთვის მეტად ნათელი, მეტად პირდაპირი იყო.

**უილიამ ჰუდი,**
ინგლისელი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კეთილი გულით მიძღვნილი...



ეს ფოტოსურათები თბილისის 89-ე საშუალო სკოლის პიონერების ერთ-ერთ სასახელო საქმეზე მოგვითხრობს: მათ თავიახთ მშობლიურ სკოლაში ვ. ი. ლენინის მუზეუმი მოაწყვეს. ამ მუზეუმის გახსნის სურვილი ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო მზადების დროს დაებადათ.

რაზმეულის საბჭომ რაზმებს შორის შეჯიბრი გამოაცხადა მუზეუმისათვის ექსპონატების მოპოვებასა და შეგროვებაზე. აფუსფუსდნენ პიონერები და აი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის საიუბილეო დღეებში საზეიმოდ გაიხსნა ამ სკოლის ვ. ი. ლენინის მუზეუმი.

შთაბეჭდილებათა წიგნის პირველ გვერდზე შემონახულია ამ დაუვიწყარი ზეიმის მოსაწვევი ბარათი, ხოლო მის ფურცლებზე — პიონერების სახელზე სამადლობელო და ქების უამრავი ჩანაწერები...

მას მერე სამი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე უფრო გამდიდრდა და გამრავალფეროვნდა მუზეუმის გამოფენა. მნახველის თვალწინ ცოცხლდება დიდი ბელადის შესანიშნავი და ნათელი ბიოგრაფია, რევოლუციის ქარიშხლიანი დღეები... პიონერებს დიდი ფიქრი, ცოდნა და გარჯა ჩაუქსოვიათ თვითეული განყოფილების გააზრებაში.

მაგალითად პირველ განყოფილებაში: ,,ვ. ი. ლენინის ბავშვობა, ყრმობა და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი'' — მოსაწონია ის, რომ გამოფენის შუაგულში გამოკიდებულია დიდ ჩარჩოში ჩასმული პ. ბელოუსოვის ნახატის ,,ჩვენ წავალთ სხვა გზით'' ფოტორეპროდუქცია. პიონერებმა ამ ექსპონატით ლამაზად გადმოსცეს რევოლუციის დასაწყისი. აქვე გამოფენილია მსოფლიო საფოსტო მარკების ალბომის უძველესი გამოცემა, რუსეთის იმპერიის მარკებზე გამოსახულ მონარქის პორტრეტები მნახველს მოაგონებს იმ შავბნელ დროს, რომლის დასამხობადაც აღსდგა მშრომელი ხალხი.

ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდის განყოფილებას შინაარსობრივად ჰკრავს ფოტორეპროდუქცია ,, ვ. ი. ლენინი შაბათობაზე 1920 წ. 1 მაისს''.

ყურადღებას იქცევს მეორე ფოტორეპროდუქციაც — ,,ვ .ი. ლენინის სიტყვა წითელ მოედანზე 1919 წ. 1 მაისს სტეფანე რაზინის ძეგლის გახსნაზე''.

განყოფილებაში — ,,ყველგან და ყოველთვის ჩვენთანაა დიდი ლენინი'' — ნაამბობია თუ როგორ მიდის ჩვენი ქვეყანა წინ ლენინური გზით. საამისოდ კარგად შეურჩევიათ პლაკატი — ,,შევასრულებთ ლენინის დანაბარებს'', სურათი ,,ლენინი ბავშვებთან გორკაში'', ,,პირველი საბჭოთა ტრაქტორები'', ,,დნეპრის კაშხალი'' და სხვ. ამ განყოფილების საექსპოზიციო მაგიდის მინებს ქვემოთ მოთავსებულ ფოტოსურათებიდან ღიმილით შემოგვცქერიან ხუთოსანი მოსწავლეები, მათ გვერდით კი ოლიმპიადებში გამარჯვებული პიონერების მიერ მიღებული სიგელებია გამწკრივებული.

მუზეუმში სულ 160 ექსპონატია გამოფენილი, რომელთაა შორის აღსანიშნავია რამდენიმე იშვიათი ნიმუში. მაგალითად, რევოლუციის აღმავლობის პერიოდის განყოფილებას ამშვენებს ,,პრავდის'' პირველი ნომერი, რომელიც 1912 წლის 22 აპრილს გამოვიდა, სწორედ ბელადის დაბადების დღეს! ყურადღებას იქცევს 1927 წელს მოსკოვში გამოცემული საფოსტო ღია ბარათი, ამ ღია ბარათზე დაბეჭდილია ვ. ნ. პჩელინის ნახატის — ,,თავდასხმა ვ. ი. ლენინზე 1918 წ''. ფოტორეპროდუქცია, სადაც გადმოცემულია ლენინზე კაპლანის მუხანათური თავდასხმის ეპიზოდი. ეს უნიკალური ნიმუში მუზეუმს სკოლის დირექტორმა მარიამ მაღლაკელიძემ შესწირა.

თვალში მოგხვდებათ საბჭოთა პერიოდის სხვადასხვა დროს გამო[illegible]სული მარკების კოლექციაც. [illegible] წია საფოსტო ნიშნები რევოლუციის მთელ ისტორიას ,,იტევს''. აქ არის ლენინის სხვადასხვა დროის პორტრეტის გამოსახულებიანი მარკები, ულიანოვების ოჯახი 1879 წელს, კრეისერი ,,ავრორა'' 1917 წ., ლენინის მავზოლეუმი და ა. შ.

მუზეუმს ერთიორად ალამაზებს მოსწავლეთა ხელით ნაკეთები საგნები.

,,ქოხი რაზლივში'' მოსწავლე ნიკოლაიშვილის ნაოსტატარია. მაშინ მეექვსე კლასში იყო თამაზი, როცა ეს მაკეტი გააკეთა. ახლა კი მეცხრე კლასის მოსწავლეა. ყაზანის უნივერსიტეტის შენობის ფანერისაგან დამზადებული მაკეტი კი თამაზ ნაცვლიშვილისა და გურამ კვირიკაძის ერთობლივი შრომის ნაყოფია.

პლასტილინისაგან გამოძერწილი ლენინის ძეგლი პირველი რაზმის პიონერს აკაკი მარშანიას უბოძებია მუზეუმისათვის. ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის რუკა კი პიონერების ჯგუფური ნამუშევარია.

მუზეუმს აქვს კიდევ ყველაზე იშვიათი და ძვირფასი ,,ექსპონატები''. ეს გახლავთ ოქტომბრელთა საკლასო ოთახებში მათი პატარა ხელებით საგულდაგულოდ მოწყობილი ლენინის კუთხეები...

— ჩვენი სკოლის ვ. ი. ლენინის მუზეუმმა პიონერებს ხელი შეუწყო კომუნისტური პარტიის ისტორიისა და დიდი ბელადის ბიოგრაფიის შესწავლაში! — გვითხრა საუბარში რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ნანული ყიფიანმა. — მუზეუმში ვაწყობთ რაზმის შეკრებებს, ლენინურ კითხვას და მრავალ სხვა ღონისძიებას.

დაე, ამ სკოლის პიონერების ეს სულითა და გულით მიძღვნილი ბელადის საიუბილეო საჩუქარი საწინდარი იყოს მათი მომავალი სახელოვანი შრომისა, ლენინის მოძღვრების უკვდავსაყოფად და ჩვენი ძვირფასი სამშობლოს სადიდებლად.

ქეთევან ჭილაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნერგები

**შოთა როყვა**

მხატვარი დ. ზარაფიშვილი.

1

წინ რომ გაშლილა ველები,
სოფლის მინდვრები ფართო,
აქ ერთი კაცი მდელოებს
ჩამოივლიდა მარტოდ.
უყვარდა გასეირნება,
შორს დადიოდა ფეხით,
ასე თოფგადაკიდული
სხვაც შეხვედრიათ გლეხი...
და ერთხელ სეირნობიდან
რომ ბრუნდებოდა უკან,
სოფლის ბოლოში, სახლებთან,
ჩამოიარა შუკა.
შეჩერდა, გადაიხედა,
და რომ დაზვერა კარგად,
მიხვდა, იქ ბიჭი პატარა
ბაღში რაღაცას რგავდა



ახლოს მივიდა ღობესთან,
მესერს დაეყრდნო ხელით.
— მებაღევ, შენს ბაღს მშვიდობა,
გამარჯობაო შენი!

ბიჭუნა შეცბა, მობრუნდა,
ბარი დაასო ცერად.
— თქვენც გაგიმარჯოთ! — უთხრა და
უცნობს მიაპყრო მზერა.
— რა უნდა დარგო, ბიჭიკო,
რისთვის ამზადებ მიწას?
— აქ ბაღი უნდა გაშენდეს
ვაშლის და ალუბლისა.
უცნობს ღიმილით თანდათან
გაებადრება სახე.
— ვიარე, ბევრი ვიარე,
ბოლოს მებაღეც ვნახე...
მარტო ერთი ხარ მებაღე,
თუ ვინმე გეხმარება?
— მარტო ვაშენებ, ბაბუამ
დამრთო ამისი ნება.

ხელით აჩვენა:
— ამ ორ მწკრივს
ალუბლებს ვუთმობ თავად,
მეორე რიგში კვლავ ორი
ვაშლების მწკრივი წავა...
თქვენ სად მუშაობთ, ბაბუა,
საიდან ხართ და ვინ ხართ?
— მე ტყისმცველი ვარ, დავდივარ.
გაღმა ჭალებში ვიყავ.

„ტყისმცველი ვარო“, თავისთვის
გაიმეორებს ვაჟი.

— მე კი — ვიტია ლედნევი,
ვსწავლობ მესამე კლასში.

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ,
მაშ, კარგად... იბეჯითე...
— ნახვამდის, კარგო ბაბუა,
გამოიარეთ კიდევ...
ტყისმცველი მიდის.
მგზავრს ბიჭი
თვალს დიდხანს გააკიდებს.

მიდის ტყისმცველი მღიმარი,
სწრაფად გადივლის ველებს, —
„დღეს კარგი ბიჭი გავიცან,
კარგადაც დავისვენე“.

2

ერთ დღეს იგივე ტყისმცველი
კვლავ ბრუნდებოდა ველით,
მოინახულა ვიტია,
მისი ნაცნობი ძველი.

დღიდან პირველი შეხვედრის
დრო გასულიყო ბევრი,



და ბაღში უკვე ხარობდა
დარგულ ნერგების ტევრი.
მრავალნაირი ყვავილი
ხარობდა ბაღის ირგვლივ,
ბიჭიც აქ იყო, იჯდა და
ხელში ეჭირა წიგნი.

ტყისმცველი ახლოს მივიდა
და მესერიდან ახლაც
— ვიტიას გაუმარჯოსო! —
ხმამაღლა გადასძახა.
წამოდგა, ხმა ეცნაურა,
გაეხმიანა სხარტად:
— თქვენა? სადა ხართ, ბაბუა,
ამდენ ხანს რომ არ ჩანხართ?

-- ხომ მაინც მოგინახულე
შენ, მეგობარი ძველი,
აქამდე ვერ მოვიცალე,
ტყე მაბარია ვრცელი.

ვიტია მიდგა მესერთან
და ბავშვურ სიამაყით
კითხავს: — რას იტყვით, მითხარით,
თუ მოგწონთ ჩემი ბაღი?
— მომწონს, ნამდვილი ბაღია,
შენ გააშენე განა?



— მარტო მე, ოღონდ ბაბუამ
ნერგები მომიტანა...
ეს ყვავილებიც ჩემია,
ბაღს რომ აქვს შემორგული,
ამათგან ლენინისათვის
მსურს შევკრა თაიგული.
— ეს კარგი აზრი მოგსვლია,
მომწონს განზრახვა შენი,
თაიგულს მართლაც მიიღებს,
ვარდები უყვარს ლენინს.

— მაშ გავუგზავნო? ვარდები
გაუხარდება მართლა?
-- გაუხარდება, მე ვიცნობ,
თვითონაც მიცნობს კარგად.
— რას ამბობთ! მართლა, ნამდვილად
თუ ნაცნობია თქვენი, —
აბა, თვალები, ღიმილი
რანაირი აქვს ლენინს?

ტყისმცველი თვალის მოჭუტვით
იცინის გულიანად, —
— თვალები? აბა, რა ვიცი.
დავკვირვებივარ განა?
მგონი უბრალო, როგორც სხვას,
როგორც მე, მაგალითად;
ღიმილიც ჩემნაირი აქვს,
არც განსხვავდება დიდად...

— მართლა იცნობდით, მეგონა, —
ბიჭი მიუგებს წყენით, —
ღიმილი ჩვეულებრივი
როგორ ექნება ლენინს!
ანდა, თვალები უბრალო!
მთასავით დიდ კაცს, მაღალს!
— ეგ რა წიგნია, ვიტია,
შენ რომ კითხულობ ახლა?
— წიგნი?..
ფუტკარი მეგონა
მხოლოდ კბენია მწერი,
ამ წიგნში ფუტკრის შესახებ
სწერია ყველაფერი...
ბაბუამ მითხრა: კარგს ვიზამთ,
თუ მოვაშენებთ ფუტკარს,
მეგობარია ბაღისა,
მას ყვავილები უყვარს...
ტყისმცველი დაუდასტურებს:
— სწორედ რომ არის ასე.
ფუტკარი არის სიმდიდრეც
და ბაღის სილამაზეც.
„ფუტკარმა წიგნი დაწერა,
სოფელს მიართვა ფრთებით, —
ყვავილი შენი იყოს და
შრომა და ჯაფა ჩემი.
ფუტკარმა წიგნი დაწერა,
ქარს გაატანა ზენას"...
ბიჭი იცინის:
-- ფუტკრისა
ბევრი გცოდნიათ თქვენაც.
— ცოტა რამ გამიგონია,
ცოტა რამ გავიხსენე;
დიახ, მოიგებს ძალიან,
ვინც ფუტკარს მოაშენებს...
აბა, ყოჩაღად იყავი, —
ოქვა და გადადგა ბიჭი.
— ერთ წუთს დაიცათ ბაბუა, —
შეეხვეწება ბიჭი. —
დაიცათ, უთაიგულოდ
როგორ გაგიშვებთ ახლა...
დაკრიფა, გამოუტანა, —
თქვენ კარგი ბაბუა ხართ!
გამოიარეთ ხანდახან...
ტყისმცველმა უთხრა: — მოვალ! —
და ვარდზე უფრო ლამაზი
ღიმილი დაუტოვა.
მიდის ტყისმცველი ვარდებით,
სახეს ღიმილი ქარგავს:
„ჩანს, კარგი ბიჭი იზრდება,
აქ მე ვისვენებ კარგად"...



3

ვიტია ლედნევს სოფელში
დიდხანს ეძებდა კაცი;
ასწავლეს: ცოტას გაივლით,
ნახავთო იმ უბანში.
ვიტია გაკვირვებული
შემოეგება შიკრიკს.
— აი, შენ გამოგიგზავნეს
რვეულები და წიგნი.
— ვინ გამოგზავნა?..
რა წიგნი?... —
ბიჭი დაიბნა უცებ.
— ვინ გამოგზავნა, გაიგებ,
დახედე შიდაფურცელს...
აიღო გულისფანცქალით,
მონახა თავფურცელი,
იყო წარწერა ლამაზი,
ოდნავ გაკრული ხელით.
ეწერა:
„ვნახე. შენს ბაღთან
ორჯერ მომიხდა გავლა.
კარგია, ყოჩაღ!
გახსოვდეს:
სწავლა, შრომა და სწავლა!
მადლობელი ვარ, ბაღიდან
ვარდები რომ მიძღვენი,
იყავ ყოჩაღად.
შენი ულიანოვი (ლენინ)..."



ელექტრონული
ბიბლიოთეკა



მხატვარი ჯემალ ლოლუა

# დედისერთა ლენინთან

შვილო ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინათ კიდევ მივიღე წერილი, რაღაც საქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცი. მკვდარია თუ ცოცხალი? მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები გამიგე, აგრემც შერჩები ქვეყანას!

დედის წერილიდან.

ს ა ნ დ რ ო  შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი

გარეთ ცივა... ჰქრის ქარი...
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
ადევს კლიტე უხეში.
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლოს, კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცემს ნუგეშში?

ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,
ღამეს თეთრად ათენებს.
გულისყური ერთზე აქვს,
მის გულს ერთი აწრთოლებს.
მუხლი მაინც უჭრიდეს,
ხალხს შესძრავდა იმით ის.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის,
ლოდინი და იმედი!
ხვალეც ღამე ლოდინის!

მას ბურანში მოესმის:
— დედი, გახსენ ჭიშკარი!
მე ვარ, ნუთუ არ გესმის?
გარეთ ცივა, ჰქრის ქარი,
შენი შვილა დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა,
უვნებელი მაგარი,
როგორც სალი კაჟი ქვა!
გახსენ კარი, დედა უ!
შენს შვილს გარეთ რა უნდა?
ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!“

დედა ენას ვერ აგებს,
სწრაფად დგება მძინარი,
სიხარულით ცახცახებს:

— შვილო, დედა შინ არი!
კარებს აღებს ღელვილი,
იქ არვინ ჩანს მლიმარი!
ცრემლით წყვდიადს შესცქერის,
ტკბილი იყო სიზმარი!

როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
იმ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა, წითლებთან
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!
პირველ რიგში დაეცა...
ტყვიამ აღარ აცადა!
მისი კვნესა: ,,ოხ დედა!“
ზარბაზანმა დაფარა;
თავი დასდო ხალხისთვის,
სისხლი ნორჩმა დაღვარა.
ნახა საძმო საფლავი,
ველარ — დედის ჭალარა!

და იმ დღიდან მოელის...
გარეთ ცივა... ჰქრის ქარი!
ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს, მზად არის,
შვილს გაუღოს ჭიშკარი!
თავზე დასთენებია.
ამოსულა ცისკარი.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის.
,,დედა მას ენაცვალოს!“
ხვალეც ღამე ლოდინის!

# ბავშვები უყვარდა ბელადს

ჩვენი რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეები დიდი ბელადის იუბილეს ხელდამშვენებული ეგებებიან. ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს სწავლასა და შრომაში მოპოვებული ახალი წარმატებები მიუძღვნეს საჩუქრად ამ დიადმა თარიღმა ბევრ მათგანს არა ერთი და ორი პოეტური სტრიქონიც შთააგონა. ,,პიონერის“ რედაქციამ ნორჩ ავტორთა მრავალი ლექსი მიიღო, სადაც ხალასი უშუალობით არის გამოხატული მოზარდი თაობის უსაზღვრო პატივისცემა ბრძენი ბელადის ხსოვნისადმი, ურყევი ერთგულება მისი უკვდავი საქმისადმი.

ყველა თანატოლის ფიქრი აქვს ამეტყველებული თავის ლექსში ბათუმელ მოსწავლე შ ა ლ ვ ა  მ ა ღ რ ა ძ ე ს:

ვით თვალისჩინს, ისე ვუვლით
შენს ნაღვაწს და ნაამაგარს;
შენი სიბრძნის ელვარება
მოჰფენია მშობელ მთა-ბარს.

ლენინის ნათელი სახე ყველა საბჭოთა ადამიანის აღმაფრთოვანებელია, სიმხნისა და იმედის დაუშრეტელი წყაროა. სწორედ ამას უსვამს ხაზს გალის რაიონის ლუკუმხარის სკოლელი ნ უ ნ უ  ჯ ო ბ ა ვ ა:

ხალხის გულში მზის ღიმილად,
სიხარულად შთენილი, —
მარად ელავს ჩვენს დროშაზე
სახე დიდი ლენინის.

ასეთივე სიყვარულით არის ახმოვანებული თბილისელი პიონერის ვ ა რ ლ ა მ  გ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი ს სტრიქონებიც:

შენთა ბაგეთა ღიმი,
შენი თვალების სხივი
გვათბობს, გვალაღებს, გვხიბლავს,
გულში ყვავილად ღვივის.

ლენინი უკვდავია, იგი მუდამ ჩვენ-

თან არის, მისი სიცოცხლე ჩვენს ყოველ სასახელო საქმეშია განსახიერებული.

*საუკუნეა, რაც ცოცხლობ,*
*ჩვენი სიცოცხლის მომტანო,*
*იცოცხლებ, მარად იცოცხლებ,*
*სწორუპოვარო ტიტანო, —*

## აი, ასეთი იყო ლენინი!..

*სახენათელი, კეთილი, ბრძენი,*
*ქვეყნად უმრეტი სინათლის მფენი,*
*ფოლადი, რვალი შეუდრეკელი,*
*ჩვენდა ნუგეშად მზედ მოვლენილი,*
*ჩაგრულთ მფარველი, სიმართლის*
*მცველი, —*
*აი, ასეთი იყო ლენინი!*
*მასზე მსოფლიო ღაღადებს, მღერის,*
*თაყვანს სცემს ყველა ხალხი და ერი.*

**ლია გასილაია,**
ადიგენის რაიონის უდის საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

წერს ქარელის რაიონის არადეთის რვაწლიანი სკოლის მერვეკლასელი მ ზ ი ა ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი.

საინტერესოდ აქვს გააზრებული ბელადის სიდიადე ცაგერის რაიონის ორბელის საშუალო სკოლის მოსწავლეს მ ზ ი ა ბ უ რ ჯ ა ლ ი ა ნ ს:

*ეს სიხარული, ეს აღმაფრენა*
*მან მოგვანიჭა — ბელადმა დიდმა.*
*მისი თვალებით ვხედავთ სამყაროს*
*და ტრიბუნიდან კვლავ ვისმენთ*
*მის ხმას.*

*ქვეყნად გაჭფანტა წყვდიადი მძიმე*
*და ხალხს იმედი მისცა ხვალისა:*
*„აწყმო, შობილი წარსულისაგან,*
*არის მშობელი მომავალისა“.*

— ჩვენ მხოლოდ ლენინის გზით ვივლით, შევასრულებთ მის ნაანდერძევს, ყველაფერში მივბაძავთ საყვარელ ბელადს, — ასეთი შინაარსისაა თ ა მ ა რ რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი ს (ლაგოდეხის რაიონის თამარიანის რვაწლიანი სკოლა), მ ა ნ ა ნ ა ტ ი კ ა რ ა ძ ი ს (ქ. ფოთის 1-ლი საშუალო სკოლა), რ ე ზ ო ჯ ო ჯ უ ა ს (აბაშის რაიონის მაიდნის რვაწლიანი სკოლა) და სხვათა მიერ გამოგზავნილი ლექსები. რა თქმა უნდა, ეს პოეტური ნამუშევრები ვერ არიან მხატვრულად სრულყოფილნი, მაგრამ მათში ჩანს ჩვენი ხვალინდელი დღის მშენებელთა მტკიცე რწმენა, ოცნებები, ფიქრები...

## ...და გაუწვდიან მზეს

*სულ მალე დაჰკრავს საათი,*
*სულ მალე მოვა დღე,*
*როცა მშრომელი ხალხები,*
*მთელი მსოფლიოს ხალხები*
*შეაერთებენ გზებს...*
*შავი და თეთრი ხელები,*
*მილიონობით ხელები,*
*ლენინის სურათს ასწევენ*
*და გაუწვდიან მზეს!..*

**ნათელა სალაძე,**
ზესტაფონის რაიონის დილიკაურის საშუალო სკოლის მოსწავლე.

# ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი


გ. ტაბიძე — ოქტომბრის სიმფონია (ლექსი) . . . . . 1
ვ. მაიაკოვსკი — ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (ლექსი, ნაწყვეტი) . . . . . 2
ნ. კრუპსკაია — კაციც ასეთი უნდა (მოგონება) . . . . 3
გ. სანადირაძე — ოქროსფრად დაფერილი მთები (მოთხრობა) . . . . . 4
ა. აბულაშვილი — ვინც კაცის გულთან გულით მივიდა (ლექსი) . . . . . 7
დ. ივარდავა — ყველაზე სპეტაკს, ყველაზე მართალს (ლექსი) 8
ნ. მგელაძე — ყოველი დღე, ყოველი წუთი (ნარკვევი) . . 11
ს. შამფრიანი — მან დამანახა სამყარო ვრცელი (ლექსი) . 15
ქ ა რ თ ვ ე ლ ი პ ო ე ტ ე ბ ი ლ ე ნ ი ნ ს (ლექსები) . . 16
მ. გორკი — „ეს ჩვენია“ (მოგონება) . . . . . . 18
თ. გიორგაძე — მაქსიმ გორკის თაოსნობით. როგორ თამაშობდა ვ. ი. ლენინი ჭადრაკს? (წერილები) . . . . 21
მ. თომაძე — გამარჯვება პატარა პროფესიონალო. ბიჭი წითელ მოედანზე. (მოთხრობები) . . . . . . 22
ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ე ბ ი . . . . . . . . . 25
ქ. პილაშვილი — კეთილი გულით მიძღვნილი (ნარკვევი) . 26
შ. როყვა — ვარდები (პოემა) . . . . . . . 28
ს. შანშიაშვილი — დედისერთა ლენინთან (ლექსი) . . 29
ბ ა ვ შ ვ ე ბ ი უ მ ღ ე რ ი ა ნ ლ ე ნ ი ნ ს . . . . . . . 30



მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.
სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, შოთა დევდარიანი, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-95
განყოფილებების—93-97-02
93-97-01



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 18/II-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-70 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. პირობითი 4. შეკვ. № 554. ტირ. 123 800. უე 02005.

ფასი 20 კაპიკი





რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ბელადის იუბილემ პიონერული რაზმეულების, რაზმებისა თუ რგოლების საქმიანობას განსაკუთრებული სადღესასწაულო იერი მიანიჭა. საზეიმო თარიღმა ბევრი სიხარული არგუნა ყველაზე ნორჩებსაც—ოქტომბრელის ნიშნით დაიმშვენეს მკერდი. აქ მოთავსებულ ფოტოსურათებზე სწორედ ეს დაუვიწყარი წუთებია აღბეჭდილი.



ეს გოგონა დღეიდან ოქტომბრელის სახელს ატარებს.



ლექსი დიდ ბელადზე.



— ჩვენ ოქტომბრელები ვართ!

ფოტო ა. კავკასიძისა



„რევოლუცია“ — მხატვარი გივი თოიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76157